გაზეთი ბოლოს, „ბოლოს" ერთი

ბოლო

ფასი 50 თეთრი

№85 (980) 15 – 16 სექტემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

აქ ვართ, ანუ (არა)ჩვეულებრივი გამოფენა

გვ. 2

ამერიკელების მესიჯი მარგველაშვილსა და ალასანიას

ვინ ულაღაცებს
პირველი
ირაკლი
ღარიბაშვილს

გვ. 3

რას მოიტანს შსს-სა და უშიშროების გაყოფა

რატომ არ ჩქარობს ხელისუფლება საარჩევნო დაპირების შესრულებას – ექსპერტ დევან ადაფიშვილის შეფასებები

სახელმწიფო ენის კანონის დარღვევისთვის 100-ლარიანი ჯარიმა წესდება?!

რისთვის სჭირდება ენის დეპარტამენტს მილიონიანი ბიუჯეტი

„სადაც დამინახავ, თემურ ასანიძე, მერიდე!"

პატიმრის დღიური

რუსთავის ციხის უსაფრთხოების ყოფილმა უფროსმა პატიმარს, ღოცვების წიგნის გამო, სიცოცხლე გაუმწარა

როგორ ფლანგავდა ლევან ვარშალომიძე ბიუჯეტის ფულს – აუდიტის სკანდალური დასკვნა

გვ. 6

აჭარის უმაღლეს საბჭოში აღმოჩენილი დარღვევები და ადმინისტრაციული შენობის რემონტში, კომპიუტერული ნაწილების შესყიდვაში, ინტერნეტით მომსახურებასა და თანამშრომელთა მივლინებებში არამიზნობრივად გახარჯული სახსრები

„ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ დაწყებული საზოგადოებრივი მაუწყებელი ხალხის ტელევიზია გახდეს!"



გვ. 4

ვის ემუქრება აქციებით და რის შეცვლას გეგმავს „პირველ არხზე" საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

დავით ნარმანიას ხელშეკრულების გასაჯაროებას სთხოვს

„ენერგო-პრო ჯორჯიამ" ახალი გადამცემი ხაზი ააშენა

ENERGO-PRO GEORGIA

110-კილოვოლტიანი ხაზი „ნიგვზიანი" ექსპლუატაციაში სექტემბრის ბოლოს შევა

მურმან დუმბაძე მეორე პარტიიდანაც გარიცხეს



რა არ აპატია „ოცნებამ“ და რას გეგმავს ვიცე-სპიკერი

ეროსუდან შელია
557-100-768

ოპოზიციურ ფლანგს ახალი „ძველი“ სახე შეემატა — მურმან დუმბაძე „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს. ამასთან, აჭარის უმაღლესი საბჭოს სამ წევრს — ალექსანდრე ჩიტიშვილს, მედეა ვასაძესა და ჯემალ ფუტკარაძეს, პარტიული დისციპლინის დარღვევის გამო, საყვედური გამოეცხადა. პოლიტსაბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებით, ფრაქცია აჭარის მთავრობისადმი უნდობლობის პროცედურის დაწყებას დროებით შეაჩერებს. როგორც პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ პარტიის გენერალურმა მდივანმა, კახა კალაძემ განაცხადა, მურმან დუმბაძე აჭარაში არჩილ ხაბაძის უფლებამოსილებებში ერეოდა და თავად წყვეტდა, ვინ სად და რა თანამდებობაზე დანიშნულიყო. კალაძის თქმითვე, დუმბაძე ამ საკითხზე რამდენჯერმე იყო გაფრთხილებული, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილის მხრიდანაც.

„ქართველი ხალხის მთავარი მონაპოვარი ისაა, რომ ქვეყანაში ერთი კაცის მმართველობა დავამთავრეთ. დღეს ძალაუფლება გადანაწილებულია. პრეზიდენტს, პარლამენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, დეპუტატებსა და პრემიერ-მინისტრს საკუთარი ფუნქციები აქვთ. მურმან დუმბაძემ კი, გაფრთხილების მიუხედავად საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა“, — ამბობს კალაძე.

მურმან დუმბაძის რამდენჯერმე გაფრთხილებაზე საუბრობს პრემიერ-მინისტრიც: **„პარტიის სამდივნომ ორი წლის განმავლობაში მურმან დუმბაძის ქმედებები გააანალიზა. მურმან დუმბაძის საქმიანობა და მისი ქმედებები სერიოზულ კითხვებს ბადებდა. თუმცა მისი მცდელობა, გავლენის ქვეშ ჰყოლოდა აჭარის უმაღლესი საბჭო და აჭარის მთავრობა, უშედეგოდ დასრულდა“.**

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, აჭარაში „ქართული ოცნების“ მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებს დეტალურად შეისწავლის: **„პარტიასთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებები აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრების მხრიდან არაერთხელ მოვისმინეთ. პარტიის სამდივნომ იმსჯელა მათი თვითნებური ქმედების შესახებ და საყვედური გამოუცხადა. ასევე გადავწყვიტეთ, ყველა საკითხსა და ბრალდებას, რაც ფრაქციის მხრიდან გაჟღერდა, დეტალურად შევისწავლით. მათ ამის პირობა მივეცი“.**

მურმან დუმბაძისთვის პარტიიდან გარიცხვა მოულოდნელი არ ყოფილა. პირიქით, თანაგუნდელებს თავად დაემუქრა, თუ პარტია აჭარის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურას მხარს არ დაუჭერდა, პარტიიდან წავიდოდა. დუმბაძე საპარლამენტო უმრავლესობასაც ტოვებს და პარლამენტში საქმიანობას ოპოზიციონერი დეპუტატის რანგში გააგრძელებს. მისივე თქმით, აჭარის უმაღლეს საბჭოში ფრაქცია „ქართული ოცნება“, სავარაუდოდ, დაიშლება: **„დაახლოებით 25 წელია, პოლიტიკაში ვარ და ყველა მთავრობა ამბობდა, რომ დესტრუქციულად ვიქცეოდი — ყველა მთავრობამ კრახით დაასრულა თავისი საქმიანობა. როცა მითხრეს, პარტიიდან უნდა გავრიცხულიყავი, ვუპასუხე, რომ ეს დაგვიანებული იყო. მათ კითხვა დავუსვი, უჭერდნენ თუ არა მხარს აჭარის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას და იმას, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოს თავისი უფლებამოსილებები განეხორციელებინა. ისინი კატეგორიულად ამბობენ, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან. ამიტომ რამდენიმე დღის წინ განვაცხადე — თუ პარტიის პოლიტსაბჭო არ დათანხმდებოდა ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივას, პარტიის რიგებს დავტოვებდი“.**

მურმან დუმბაძის განცხადებით, რეგიონში ხელდასხმული, უნიათო მთავრობაა, თანამდებობებზე კი მლიქვნელობის ხათრით ინიშნებიან და არა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

შეგახსენებთ, ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მურმან დუმბაძეს პარტიიდან რიცხავენ. მან თავის დროზე ვერც რესპუბლიკურ პარტიასთან თანამშრომლობა მოახერხა.

აქ ვართ, ანუ (არა)ჩვეულებრივი გამოფენა

გიორგი იაშვილი

ერთი შეხედვით საქართველოში ყველაფერი ადვილია. უფრო სწორედ კი, ვიღაცებზე რაღაცების გადაბრალებაა ადვილი და რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგახარ, ეს უფრო ადვილდება. მაგალითად, ხარ თანამდებობის პირი და დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვი, მარტივად გაიშვერ ხელს ჟურნალისტებისკენ და იტყვი, რომ ეს მათი ბრალია, რადგან, რასაც აკეთებდი და კარგად აკეთებდი, თურმე ჩვენ, მეოთხე ხელისუფლება არ აშუქებდა კარგად და მიზანმიმართულად მიჰყავდა საქმე იქითკენ, ყველაფერი ცუდად წარმოჩენილიყო... ეს ისე, შეხსენებისთვის...

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და ახლა ნომერპირველმა მოქალაქემ, ბიძინა ივანიშვილმა მედიისთვის მოიცალა. მოიცალა ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით — ინტერვიუს მიცემა ინება და შემდეგ არც ჟურნალისტების კრიტიკას მოერიდა. ლევან ვასაძის არ იყოს, ადამიანები, რომელთა საბანკო ანგარიშები ბევრ ნულს ითვლის, ფიქრობენ, რომ მათ ბაგეთაგან მუდმივად ჭეშმარიტება ისმის და ამ ჭეშმარიტებას ყველამ თავი უნდა დაუქნიოს. ზუსტად ისე, როგორც ივანიშვილის შემთხვევაში უქნევდა თავს ჟურნალისტი გიორგი კვიტაშვილი და ზოგადად, გიორგისთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს — მუსიკას ის უკვეთავს, ვინც იხდის და ძალიანაც რომ გდომებოდა, ჩემო გიორგი (და ჩემო იმიტომ, რომ ძალიან კარგად ვიცნობთ ერთმანეთს), იმაზე მეტს ვერ იტყოდი, ვიდრე თქვი, თუმცა...

როგორც ბატონი ბიძინა ამბობს, ჟურნალისტები არიან ჩვეულებრივი ადამიანები და ამას უნდა შეეგუონ. თავს დავდებ, რომ ივანიშვილზე მეტ ჟურნალისტს ვიცნობ პირადად და ჯერ არ მსმენია, რომელიმე მათგანს ეთქვა, არაჩვეულებრივი ვარო. არც მაშინ უთქვამს ეს, როცა მედიის გარკვეულმა ნაწილმა თავი გადადო და იმ რეჟიმს, რომლისგანაც გავთავისუფლდით, კალამამოღებული ებრძოდა და ებრძოდა არა 2012 წლიდან, არამედ უფრო ადრიდან და, კაცმა არ იცის, ვისი ფინანსებით ნაყიდი ხელკეტის გემო რამდენმა ჟურნალისტმა იწვნია საკუთარ თავზე. მაშინ თავგატეხილი მედია არავის გახსენებია, არც ივანიშვილს, რომელიც ლეგენდად იყო ქცეული საკუთარი მეცენატობის გამო, სწორედ ამ ლეგენდამ მოიყვანა ხელისუფლებაში და კიდევ იმან, რომ ხელკეტებით (კაცმა არ იცის, ვისი ფინანსებით ნაყიდი ხელკეტებით) ჟურნალისტების გარდა, ბევრ მოქალაქეს ჰქონდა თავი გატეხილი. 2012 წელს რომ არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა, რეჟიმის წინაშე შიშველი ხელებით სწორედ ის თავგადადებული მედია ცდილობდა, ის მეოთხე ხელისუფლება, რომელიც დღემდე ცდილობს ამ სტატუსის დაბრუნებას და რომელსაც ჯიუტად ეცილებიან. ეცილებოდნენ შევარდნაძის დროს, წაართვეს სააკაშვილის დროს და ეცილებიან ახლა — ივანიშვილის დროს. სწორედ ივანიშვილის დროს, რადგან პრემიერყოფილი აღიარებს, რომ ეს მისი ხელისუფლებაა, მისი გუნდია და ყველაზე დიდ შეცდომად თურმე პრემიებს მიიჩნევს. ვერ გეტყვით, რატომ არ მიიჩნევს დიდ შეცდომად იმას, რომ მისი დანიშნული შვიდი მინისტრი სახლში ისე გაუშვეს, ერთმაც კი ვერ თქვა, ამ ხნის განმავლობაში ისეთი ღირებული რამ შევქმენი, გაშვების ღირსი არ ვიყავიო. რატომ ვერ თქვა? იმიტომ, რომ არაფერი უკეთებიათ და, როცა შენს მიერ დანიშნული კაცი (ქალიც) არაფერს აკეთებს და თავდახრილი მიდის, მინიმუმ თავი უნდა დახარო და აღიარო, რომ შეცდი. და შეცდი არა ერთ კაცში, არამედ რამდენიმეში და მათ ქვეყნის ბედი ჩააბარე, იმ ქვეყნისა, რომელიც თურმე ძალიან ღარიბია და ეს სიღარიბე უფრო მწვავედ შუშის სახლებიდან ჩანს.

როგორც ამბობენ, ივანიშვილი მალე ჩვენი კოლეგა გახდება. ის გადაცემების და საათების მიძღვნას აპირებს იმისთვის, თუ ვისია ესა თუ ის მედია, ვის ინტერესებშია და როგორ ატარებენ კერძო პირები მიკერძოებულ პოლიტიკას. და ამ დროს ივანიშვილს ავიწყდება, რომ „მეცხრე არხი“ მისი საკუთრება იყო, ამუშავა მანამ, სანამ სჭირდებოდა და, როცა არ დასჭირდა, დახურა და ჟურნალისტები უმუშევრად დარჩნენ. ის ჟურნალისტები, ჩვეულებრივი ადამიანები რომ არიან, არაჩვეულებრივად აკეთებდნენ საკუთარ საქმეს და თავი ჰქონდათ გადადებული. მაშინ რა გვინდა სხვა კერძო მედიასაშუალებებისგან, თუ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, იარსებონ და, საკუთარი თავის გარდა, არავის იმედი არ აქვთ?! თუ, ყველა კერძო გამოცემა თუ ტელეკომპანია უნდა დაიხუროს და უმედიოდ დარჩენილი საზოგადოება უფრო ბედნიერი იქნება?!

ნოდარ დუმბაძეს აქვს, სამშობლო ფუნთუშა არ არის, მხოლოდ ქიშმიში გამოარჩიო და ქერქი არ გიყვარდესო. არც ჟურნალისტიკაა 20-თეთრიანი „ბულკი“ და არ ივარგებს, ქიშმიშები გამოარჩიოთ, ბატონო ბიძინა. არ გიფიქრიათ იმაზე, რომ ყველა მეტ-ნაკლებად რეიტინგული გამოცემისთვის (და ასეთი სულ ათიც არ იქნება), ცალკ-ცალკე მიგეცათ ინტერვიუ და ეგებ, ის კითხვები მიგეღოთ, რიგით ადამიანებს რომ აწუხებს? ეგებ, გაგეგოთ, სად არის მედია და რას აკეთებს! ეგებ მერე გეღიარებინათ დამოუკიდებელი მედიის ძალა და ის, რომ თქვენი სიტყვები საკამათოა, გითხრათ კიდეც ჩვენმა კოლეგამ და თავადაც აღიარეთ, უნდა ვიკამათოთო. ვიკამათოთ, მაგრამ როგორ?! თქვენამდე მოსასვლელი გზა რამდენად იოლია, თავად უკეთ იცით და მედიას მაინც გაუიოლეთ. მოაწყვეთ ჩვეულებრივი ჟურნალისტების არაჩვეულებრივი გამოფენა, მოგვეცით უფლება, თქვენამდე მოვიდეთ, გესაუბროთ თამამად და ღიად და თქვენი საუბარი მონოლოგის რეჟიმში კი არ მოვისმინოთ, არამედ ჩაგეკითხოთ, ჩაგეძიოთ და ნახავთ, რომ აქ ვართ და იმაზე მეტად ვართ, ვიდრე თქვენ გეუბნებიან... თორემ ასე, კვარტალში ერთხელ დამრიგებლური ტონით საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, გამაღიზიანებელია და...

„ერთ კაცის ნდობა ძნელია,
გინდა გადიქცეს გონებად,
და შეუმცდარი ამ ქვეყნად,
მეფეცა ნუ გეგონებათ!“

ბატონო ბიძინა, ეს სიტყვები აკაკი წერეთელმა დაწერა... საჩხერელმა წერეთელმა!

ნუ დაიჯერებთ იმას, რომ გონებადგადაქცეულ კაცსაც კი არაფერი ეშლება. ყველაზე მეტად დამოუკიდებელი მედია ედუარდ შევარდნაძის დროს იყო და ამას ნებისმიერი ჟურნალისტი დაგიდასტურებთ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ასე იყო და როცა ამბობ, ყველაფერს ვიზამ, მედიაში პროფესიონალიზმი გაიზარდოსო, ეგებ ის სჯობდეს, თქვენი ხელისუფლების, ჩვენი ხელისუფლების პროფესიონალიზმი გაზარდოთ, მედიის პროფესიონალიზმის ხარისხს კი ყოველთვის საზოგადოება საზღვრავდა და არაპროფესიონალები უბრალოდ ქრებოდნენ. ძალით ნურავის და ნურაფრის გაქრობას შეეცდებით, სცადა ეგ წინა ხელისუფლებამ და და როგორც დაამთავრებინეთ, ჩვენზე კარგად იცით. მხოლოდ ერთი კაცის გონება-განწყობილებით მართულ ქვეყანას სიკეთე არასდროს ჰქონია და...

„ჩვენის წინაპრის გონებას
ადრევე გადუწყვეტია,
რომ სამსჯავროი ისა სჯობს,
მსაჯული რაც რომ მეტია!“

ესეც აკაკიმ დაწერა, ბატონო ბიძინა... საჩხერელმა აკაკიმ!

ამერიკელების მესიჯი გიორგი მარგველაშვილსა და ირაკლი ალასანიას

ეროსუდან შელია
557-100-768

პოლიტიკური შვებულება დასრულდა. ქართულ პოლიტიკურ რეალობაში შემოდგომა ყოველთვის ახალ ეტაპად ითვლებოდა და ახლაც ასეა: პრეზიდენტისა და პრემიერის დავაში ბიძინა ივანიშვილიც ჩაერთო და სამოქალაქო ფლანგზე გააქტიურებაც დააანონსა. როგორ განვითარდება მოვლენები, რისთვის ემზადება მმართველი კოალიცია და სადაა არასაპარლამენტო ოპოზიცია, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გაპროტესტებას სექტემბრიდან აპირებდა და მასშტაბური საპროტესტო აქციებით იმუქრებოდა? მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ექსპერტი კახი კახიშვილი აფასებს.

— თუ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ შეფასებებს აკეთებს, ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ პროცესებს კულუარებიდან მართავს. განცხადებების გაკეთებას ვერავინ დაუშლის. როგორც თითოეულ ჩვენგანს, ისე ბიძინა ივანიშვილსაც აქვს პოლიტიკური შეფასებების უფლება; მეტიც, მის განცხადებებს, სხვებისგან განსხვავებით, საკმაოდ დიდი პოლიტიკური წონა აქვს — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი იყო ლიდერი, რომლის ავტორიტეტითაც არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა და ამჟამინდელი მთავრობა ხელისუფლებაში მოვიდა.

— ორკვირიანი დავის შემდეგ, ვინ უნდა წასულიყო გაერო-ში — პრეზიდენტი თუ პრემიერი, ბიძინა ივანიშვილის განცხადება „კონკურენტი“ გიორგი მარგველაშვილისთვისაც გადამწყვეტი აღმოჩნდა ანუ ვიდრე „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, მთავარი პერსონა მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი იქნება?

— ივანიშვილის განცხადებას „ქართულ ოცნებაზე“ გავლენა, პირდაპირ თუ ირიბად, აქვს და ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ. მისმა სიტყვამ და ქმედებამ ნაციონალური მოძრაობის ბედი გადაწყვიტა და რატომ გვიკვირს, რომ მისი განცხადება მთავრობის რომელიმე წევრისთვის გადამწყვეტია? მაინტერესებს, ბიძინა ივანიშვილს საუბარი ცხოვრების ბოლომდე უნდა აუკრძალონ? მიხეილ სააკაშვილსაც აქვს ნაციონალურ მოძრაობაზე გავლენა, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და იმპულსურად, უბრალოდ, დღეს გვეჩვენება. იმ ადამიანების მიკვირს, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილის გაჩუმების სურვილი აქვთ, თუმცა პარალელურად, თითქოს თითოეული მოქალაქის სიტყვის თავისუფლებისთვის იბრძვიან.

— სექტემბრის დასაწყისში პოლიტიკური პროცესები კრიმინალურმა ქრონიკამ გადაფარა. ახალი პოლიტიკური სეზონი პოლიტიკოსების პასიურობით რატომ დაიწყო?

— კრიმინალურ ვითარებაზე აპელირებაც პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია — ნაციონალური მოძრაობა აქტიურად ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, შექმნას განცდა და ილუზია, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ქვეყანაში ცხოვრება გაუარესდა და რეგრესია. პოლიტიკური გააქტიურება კი მას შემდეგ დაიწყება, რაც ტელევიზიები პოლიტიკური თოქ-შოუების სეზონს გახსნიან. ახლა პოლიტიკოსები დასვენებულები არიან. სავარაუდოდ, 15 სექტემბრიდან ისინი ახალი ძალითა და ენერგიით ჩაერთვებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში.

— ერთია ენერგია, მეორე შესაძლებლობები. ძირითადი მოთამაშე — „ქართული ოცნება“, მთავარი ოპოზიციური ძალა — ნაციონალური მოძრაობა — პოლიტიკური ცხოვრება ისევ ამ კონფიგურაციით გაგრძელდება?

— გარკვეულწილად, პოლიტიკურ ასპარეზზე არასაპარლამენტო ოპოზიციის პასიურობას ხელი „ქართულმა ოცნებამ“ შეუწყო, როცა ძირითად ოპონენტად მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა აღიარა. იმის გამო, რომ ქვეყანაში მომავალი ორი წლის განმავლობაში არჩევნები მოსალოდნელი არაა და ცოტა ხნის წინ, საკმაოდ რთული თვითმმართველობის არჩევნები დასრულდა, არასაპარლამენტო ოპოზიციამ საზაფხულო ტაიმ-აუტი აიღო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ოპოზიციის შვებულება არ დასრულდება. როგორც მოგახსენეთ, შემოდგომის პოლიტიკურად აქტიური ფაზა ჯერ არ დამდგარა.

— წესით, დასვენებული არასაპარლამენტო ოპოზიცია ჯერ კიდევ ივლისში დაანონსებული საპროტესტო აქციებისთვის უნდა ემზადებოდეს. სად არის ბურჯანაძე და მისი პოლიტიკური აქტივობა?

— არ მგონია, ეს განცხადება თავის დროზე სერიოზულად გაჟღერებულიყო. ეს უფრო საარჩევნო რეჟიმში გაკეთებულ განცხადებას ჰგავდა, რომელსაც გრძელვადიანი მიზანი არ ჰქონდა. არეულობით ხელისუფლებაში მოსვლა ნაციონალური მოძრაობის იდეაა. ნაციონალებმა 2003 წელსაც იცოდნენ, რომ რევოლუციის გარეშე ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ. დღეს უფრო კარგად აქვთ გააზრებული, რომ ხელისუფლებაში საარჩევნო ციკლით დაბრუნება გამორიცხულია და მხოლოდ ერთი შანსი აქვთ — ქვეყანაში არეულობა შექმნან, ამიტომ ყველა ფლანგზე ცხელი წერტილის შექმნას ცდილობენ, სპეკულირებენ კრიმინალური და სოციალური საკითხებით. მათი მიზანია, ხელისუფლების ბერკეტები შეარყიონ.

— ამ ავანტიურაში ნაციონალური მოძრაობა წარმატებებს აღწევს?

— შესაძლოა, შემოდგომის პოლიტიკურად აქტიური ფაზის დადგომის შემდეგ, საპროტესტო გამოსვლები დაიწყოს, რაც ნორმალური იქნება, თუ, რა თქმა უნდა, აქციები კანონის ფარგლებს არ გასცდება. საქართველოს კონსტიტუცია თითოეულ ჩვენგანს გვაძლევს სიტყვის თავისუფლების გამოხატვის შესაძლებლობას. შესაძლოა, ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, ქუჩაში სხვა პოლიტიკური პარტიები და რიგითი მოქალაქეებიც გამოვიდნენ, მაგრამ ამ ეტაპზე, ეს მასშტაბური ვერ იქნება და ამ გზით ხელისუფლების დამხობაზე საუბარიც ზედმეტია. დღეს „ქართული ოცნება“ საკმაოდ ძლიერია, თანაც მის უკან დგას ბიძინა ივანიშვილი, რომელიც საზოგადოებაში სერიოზული ავტორიტეტით სარგებლობს. არც იმას გამოვრიცხავ, პროვოკაციული, კანონდარღვევით გამართული აქციებიც დაიგეგმოს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამ გზით ხელისუფლების შეცვლა სამომავლო პერსპექტივაა ანუ 2016 წლის შემდეგ და არა მანამდე.

— 2016 წელს კოალიცია გულხელდაკრეფილი შეხვდება? ზაფხულში ხელისუფლება, ძირითადად, საგარეო საკითხებზე იყო გადართული, ახლა შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში ცვლილებებს არ ელით?

— როცა ხელისუფლებაში ხარ, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რას გიმზადებს. ყველა ბერკეტი გაქვს საიმისოდ, რომ თუნდაც საბოტაჟის ფაქტები დროულად გამოავლინო და კონკრეტულ პრობლემებზე პრევენციულად იმოქმედო. „ქართული ოცნების“ მთავარი ამოცანაც სწორედ ესაა! დღეს ხელისუფლება პოსტფაქტუმ მოქმედებს და ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მმართველი გუნდი ერთპარტიული არ არის. ხელისუფლებამ ერთი მთავარი საკითხი ვერ გათვალა: მართალია, კარგია, როცა ოპონენტად ნაციონალური მოძრაობა გყავს, რომლის მართალიც არ დაიჯერება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს პოლიტიკური ძალა პოზიციებს გაიმყარებს, მეტ-ნაკლებად ფეხზე დადგება და შტურმზე გადავა. „სამდურაკის“ პრინციპი, დროთა განმავლობაში, მოსახლეობას აღიზიანებს და ხელისუფლებისგან კონკრეტულ შედეგებს ითხოვს. სწორედ ამიტომ, ნაციონალური მოძრობა, ყოველდღიურად ცდილობს ახალი თემების „შემოგდებას“, რათა ხელისუფლება მუდმივად თავისმართლების რეჟიმში ამყოფოს. ვფიქრობ, ეს სტრატეგია გაგრძელდება და შესაძლოა, უფრო დიდი მასშტაბითაც. ამ მხრივ, ხელისუფლებას ცუდი ტაქტიკა აქვს შერჩეული.

— ამ ფონზე არც ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი მატულობს...

— დიახ, მაგრამ ფაქტია: ნაციონალურმა მოძრაობამ პარტია და მოტივირებული ამომრჩევლის მხარდაჭერა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა. ამასთან, ერთადერთი ოპოზიციური პარტია, რომელიც საპარლამენტო ტრიბუნას იყენებს, სწორედ ნაციონალური მოძრაობაა. ყოფილი სახელისუფლო გუნდი, ჯერჯერობით, ცენტრალური ოპოზიციის ფლანგის დაკავებას და პარალელურად, სხვადასხვა ტექნოლოგიით კოალიციის გახლეჩას ცდილობს. ამაში თავად NDI-ც ჩაერთო, როცა ისეთი კვლევის შედეგები წარადგინა, რომელიც მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ინტერესებში შედის. ეს იყო მინიშნება: კოალიციის ყველაზე დიდი ავტორიტეტის, ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი ყოველდღიურად იკლებს და თავისუფლად იმოქმედეთ იმ ადამიანებმა, რომლებიც ამ გაერთიანების დატოვებას ფიქრობთ, მაგრამ ჯერ ვერ გადაგიწყვეტიათო. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ირაკლი ალასანიასა და გიორგი მარგველაშვილზე. უფრო მეტად მარგველაშვილს მიანიშნეს, პარტია შექმენი და დამოუკიდებლად იმოქმედეო.

— მარგველაშვილი ის პოლიტიკური ლიდერია, რომელიც დამოუკიდებლად წარმატებულ თამაშს შეძლებს?

— სწორედ ამიტომ ვახსენებ მინიშნებას, რომელიც ამერიკული ინსტიტუტის კვლევის შედეგებში მკვეთრად იკითხება.

> **ახლა ყველა, მათ შორის, ირაკლი ღარიბაშვილი და ე.წ. ურჩი მინისტრები სხედან და ფიქრობენ 2016 წლის არჩევნების სამოქმედო სტრატეგიაზე. ღარიბაშვილს კარგად ესმის, რომ წარმატებას მხოლოდ გუნდში ერთგული ადამიანების ყოფნით მიაღწევს. ამისთვის ემზადება ის ფლანგიც, რომელიც ღარიბაშვილის პოლიტიკისგან დისტანცირებასა და დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის დაწყებას ისე ცდილობენ, ჯერ კიდევ „ოცნების“ წევრებად ითვლებიან. ეს ჩვეულებრივი ნერვების ომია, რომელსაც სწორი ტაქტიკური სვლა და ანალიზი სჭირდება. დაახლოებით, იანვარ-თებერვალში ყველაფერი ბევრად თვალსაჩინო გახდება. პროცესი დაჩქარდება, თუ ირაკლი ღარიბაშვილი ჩათვლის, რომ ე.წ. ურჩი მინისტრები შესაცვლელია.**

მთავარია, შევარდნაძის პერიოდი არ განმეორდეს, როცა მინისტრები კონსულტაციებზე სააკაშვილთან დარბოდნენ. თუ ღარიბაშვილთან სხდომიდან გამოვიდნენ და რომელიმე X პოლიტიკური ცენტრის ლიდერთან მივიდნენ, ამით ქვეყანას შეექმნება პრობლემები, რადგან პოლიტიკურ კრიზისს ყოველთვის სერიოზული პრობლემები ახლავს.

— ვიდრე პოლიტიკოსები გადაჯგუფებაზე ფიქრობენ, რატომ უშვებს საზოგადოება ძველ შეცდომას და არ ცდილობს ხელისუფლების გაკონტროლებას, თუ ხალხი ისევ ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას ელის?

— შესაძლოა, გამზადებული და გადაწყვეტილი პოლიტიკური ცენტრი ამ ეტაპზე არ არსებობს, მაგრამ იკვეთებიან ფიგურები, რომლებიც ძირითადად ღარიბაშვილზე ან ივანიშვილზე განაწყენდნენ და არაა გამორიცხული, მომავალში გაერთიანდნენ. ეს 2016 წლის არჩევნების მოახლოებასთან ერთად გამოჩნდება. ჯერჯერობით, ამ ფიგურების პროგნოზი შეუძლებელია. მოსალოდნელია, ვინც დღეს პრემიერთან ოპონირების რეჟიმშია, ურთიერთობა დაალაგოს, ის კი, ვისაც თავი „შოკოლადში“ ჰგონია, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ვერსიანიუსი

შსს-მ აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, წარსულში განზრახ მკვლელობისთვის ნასამართლევი გიორგი ო. დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2 სექტემბერს, ღამით, ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა 1987 წელს დაბადებულ ლაშა მ-ს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა, გიორგი ო. კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ბრალდებული ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მიმალვას შეეცადა, რა დროსაც იგი ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო წარმომადგენლებმა დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებისა და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლების აქტიური მუშაობის შედეგად აღნიშნული პირი 12 სექტემბერს სოფელ ერგნეთში ქართულ მხარეს გადმოეცა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 109-ე და 236-ე მუხლებით).

„ვერსიანიუსი“

„ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ დაწყევლილი საზოგადოებრივი მაუწყებელი ხალხის ტელევიზია გახდეს!“



ვის ემუქრება აქციებით და რის შეცვლას გეგმავს „პირველ არხზე“ საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

მრავალტანჯული საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობა ისევ ვაკანტურია. ერთხანობას ითქვა, რომ ამ პოსტზე „რუსთავი 2“-დან ახლახან წასული ნინო შუბლაძე განიხილება და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია არ დასტურდება, ვიღაცები შუბლაძის აჩრდილს დღემდე ებრძვიან. ამასთან, ცნობილია, რომ „პირველი არხის“ სანფორმაციოს უფროსობა საფრანგეთში მოღვაწე ქართველ ჟურნალისტ გიორგი ფოფხაძესაც უნდა, რომელიც სხვადასხვა დროს „მაესტროსა“ და „მეცხრე არხთან“ თანამშრომლობდა. გიორგი, რომელიც სოციალურ ქსელებში მხარდამჭერთა რაოდენობას არ უჩივის, „ვერსიასთან“ იმ დეტალებზე საუბრობს, რასაც საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო ბადეში შეცვლის.

— წლების განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებელი პოლიტიკურ მექანიზმად ჩამოყალიბდა, რომელიც ხელისუფლების იდეოლოგიას ატარებს. ეს ძალიან ცუდია, რადგან არხი ჩვენი ჯიბიდან ფინანსდება. ნებისმიერი ხელისუფლება საკუთარი გავლენის მოპოვებას მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელზე კი არა, ყველა ტელევიზიაზე ცდილობს. ასეა ახლაც — საზოგადოებრივ მაუწყებელზე იმ ხალხის მოყვანა უნდათ, ვინც სასურველ პოლიტიკას გაატარებს. ამაშია მთელი უბედურება და სწორედ ამას ვებრძვი — არ მინდა, არხი, რომელიმე ჯგუფის ხელში, იარაღად იქცეს.

— ანუ დღეს მაუწყებელი „ოცნების“ ხელშია?

— ბოლო ორი კვირაა, ვხედავ, რომ არხზე ვითარება ძველი პრინციპით ლაგდება და ისევ ერთი კონკრეტული ჯგუფისთვის მისაღები ხალხის მიყვანა უნდათ.

— ვის უნდა?

— ალბათ, ხელისუფლებას, თორემ ნინო შუბლაძის კანდიდატურა რატომ წამოტივტივდებოდა? იმავე საღამოს, როცა ეს ამბავი შევიტყვე და ხმაური ავტეხე, ეს ინფორმაცია უარყვეს, ფოფხაძე ტყუისო. აქ საქმე შუბლაძეში არ არის, არ ვიცნობ და ერთმანეთს არასოდეს დავტაკებივართ. საუბარი იმაზეა, რომ, როცა ადამიანი ერთ დროს სხვა იდეოლოგიას ემსახურებოდა, არხის პოლიტიკის სწორად დალაგებას ვერ შეძლებს.

— თქვენზეც შეიძლება იგივეს თქმა — „ოცნების“ მიმართ სიმპათიას ღიად გამოხატავდით.

— „ოცნების“ მიმართ სიმპათია არასოდეს მქონია, წინა რეჟიმს ვებრძოდი. ერთადერთი პარტია, რომლის მიმართაც სიმპათია მაქვს, პატრიოტთა ალიანსია, ჩემი მეგობრები, ოღონდ სამსახურის მერე და არა მუშაობის პროცესში.

— მაინც, რა პრობლემებს ხედავთ მაუწყებელზე და რატომ გადაწყვიტეთ, რომ საინფორმაციო სამსახურის უფროსი უნდა იყოთ?

— ტელევიზიებშიც ისეთივე მოძრაობა მიდის, როგორც პარტიებში: ხალხი ნიავის მიმართულებით გადადის სხვაგან და მერე ისევ ბრუნდება. არსებობს თავკომბალათა ერთი ჯგუფი, რომელიც ხან ერთ ტელევიზიაშია, ხან მეორეში, მერე მთავრობის ადმინისტრაციის, სხვადასხვა უწყების პრესსამსახურის უფროსი ხდება და ცოტა ხანში ისევ უკან, ტელევიზიაში ბრუნდება. ასე მოიქცა შალვა რამიშვილიც. კოკა ყანდიაშვილი ჩემი მეგობარია, მაგრამ თურმე, „მაესტროზე“ გადაცემა უნდა გააკეთოს. კოკა კარგი ჟურნალისტია, მაგრამ გუშინ სახელმწიფო ჩინოვნიკი იყავი და დღეს ტელევიზიაში მიბრუნდე?! — ეს ჩემთვის მიუღებელია, დემოკრატიულ ქვეყნებში ასეთები არ ხდება. არ მინდა, კოკამ მიწყინოს, მაგრამ ასეთ მაგალითებს ქართულ ტელევიზიაში ხშირად ვაწყდებით.

რაც შეეხება ვითარებას საზოგადოებრივ მაუწყებელზე: ჯერ ერთი, იქ არავის მიყვანას ვაპირებ, რადგან არხს ჟურნალისტთა კორპუსი ჰყავს და მისგან პროფესიონალების გუნდს ჩამოვაყალიბებ, რომელიც თავის საქმეს გააკეთებს. ჩემთვის მნიშვნელობა არ ექნება, სამსახურის მერე მხარს რომელ პარტიას დაუჭერენ. ყველაზე მტკივნეული საკითხი ისაა, რომ ამ არხს 20-მილიონიანი დაფინანსების არაფერი ეტყობა, არც ტექნიკა უვარგა — ელემენტარულად, კამერები არ აქვს, ხელფასი კი მწირია. როცა ზედაეშელონებში ხალხი 10 000-ობით ლარს ირიგებს, ოპერატორებსა და ჟურნალისტებს 840 ლარს არ უნდა უხდიდნენ. შეხედეთ, რას ჰგავს ტელევიზიის შენობა, ფანჯრებიც ვერ ჩაუსვამთ, სტუდიები ისეთია, ვერ შეიხედავ. თუ თანხა არც ხელფასებზე მიდის, არც ტექნიკასა და მანქანებზე, მაშინ ეს 20 მილიონი სად იხარჯება?

— ისე საუბრობთ, თითქოს არხზე მისვლისთანავე საგამოძიებო მოქმედებების დაწყებას გეგმავთ...

— ახალშეკრებილ ბორდ-ს ჩემს ხედვას გავაცნობ და ვეტყვი, რა, როგორ დაფინანსდეს. თუ მეტყვის, ამაში თანხა არ გვეყოფაო, მერე აუდიტის შემოყვანას მოვითხოვ და გავარკვევ, სად მიდიოდა სარეკლამო შემოსავალი და 20-მილიონიანი დაფინანსება. ამიტომ არ უნდათ გიორგი ფოფხაძის იქ მისვლა. ჩემი პროგრამაც მაქვს და ძალიან სერიოზული ავტობიოგრაფიაც. ამაზე უკეთესი დადოს ნებისმიერმა, ვისაც საინფორმაციოს ხელმძღვანელად დანიშნავენ, ორივე ხელს ავწევ და ჟურნალისტიკიდან წავალ. ჟურნალისტი ვარ და ვიცი, რა პრობლემები აქვთ ჟურნალისტებს რაიონებში, მივლინებებში... ასევე ვიცი, რამდენი უნდა იყოს ჟურნალისტის ხელფასი. აუცილებლად განახლდება არხის ტექნიკური ბაზა, გადაიხედება და გაიზრდება სახელფასო ფონდი; აქცენტი გაკეთდება რეგიონების პრობლემებზე და ეს სიუჟეტების თემა უფრო ხშირად გახდება, რადგან საქართველო მხოლოდ თბილისით არ შემოისაზღვრება. მთელი ქართული ტელევიზია ესაა — იმან ამას ეს უთხრა, ამან ის უპასუხაო... ამიტომ ჯგუფები პარლამენტსა და მთავრობაში მომუშავე ჟურნალისტებად და რეპორტიორებად დაიყოფა, გვექნება კვირის მიმოხილვები, მოვამზადებთ ვრცელ და შემოქმედებით რეპორტაჟებს. ამას ჟურნალისტიკის საერთაშორისო ნორმები ჰქვია, თუმცა მთავარია, ქართულ რეალობაზე მორგებული ტელევიზია გააკეთო, თორემ ჩვენს ჟურნალისტებს სულ რომ BBC-ს ტრენერები ჩამოუყვანო, ქართველ კადრებს კარგად ვერ გადაამზადებენ. ამაზეც ნაფიქრი მაქვს — მყავს მეგობრები, ვინც BBC-სა და CNN-ისთვის საქართველოდან სიუჟეტებს წლების განმავლობაში ამზადებდნენ და ჩემი თხოვნით, ქართველი ჟურნალისტების ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე გადამზადება მათაც შეუძლიათ.

— წავიკითხე თქვენი განცხადება, სადაც იმუქრებით, ამ პოსტზე ვინც უნდა დაინიშნოს, კაბინეტიდან გამოვიყვანთ და ხალხი არ გაჩერდებაო. ეს რას ნიშნავს?

— ჯერჯერობით, მხოლოდ სოციალურ ქსელში ვაქტიურობ. არხის დირექტორის, გიორგი ბარათაშვილის ტელეფონის ნომერიც მომცეს, 100-ჯერ დავურეკე, მაგრამ არ მპასუხობს. ამჟამინდელ ბორდ-ში რამდენიმე ადამიანი ჩემს მხარესაა, თუმცა გვარებს ვერ დაგისახელებთ. როცა ამხელა აჟიოტაჟი ატყდა, არხის დირექციას ეს ამბავი ყურად უნდა ეღო. ეს ჩემთვის უკვე პრინციპული საკითხია, ამიტომ ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ დაწყევლილი საზოგადოებრივი მაუწყებელი, ერთხელ და სამუდამოდ, ხალხის ტელევიზია გახდეს. არ ვიმუქრები, უბრალოდ, ვამბობ, ბრძოლას ვიწყებ და ამ ბრძოლას ბოლომდე მივიყვან. ვერც ის წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიყო ტელევიზიაში, მთავრობიდან, ოპოზიციიდან, რომელიმე პარტიიდან ვინმემ დამირეკოს და რამე მთხოვოს. მაშინვე ვეტყვი, სულელები ხომ არ ხართ-მეთქი?!

— თავიდან ყველა ასე ამბობს, ბატონო გიორგი...

— თუ ხალხს რამეს ვპირდები, აუცილებლად ვასრულებ. ისიც შემიძლია, თუ რაღაცას სწორად ვერ გავაკეთებ, კაცურად წავიდე.

— მიზანს როგორ უნდა მიაღწიოთ, რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ თქვენმა ბრძოლამ შედეგი არ გამოიღო?

— ჩემი ამბიციების შესახებ უკვე ყველასთვის ცნობილია. ახლა ველი გამოხმაურებას არხის ხელმძღვანელობისგან. მჯერა, საღი აზრი გაიმარჯვებს, თუ არადა, მიიღებენ იმას, რასაც ვპირდები — არ ვიმუქრები, ვინც უნდა იყოს იმ კაბინეტში, იქედან გამოსვლა მოუწევს. ამ წუთას 15 700-ზე მეტი მხარდამჭერი მყავს და ეს უკვე დიდი ძალაა. შეიძლება, ხელმოწერების შეგროვებაც, პიკეტი, აქციების მოწყობა და ა.შ. თუ ამ პოსტზე არ დავინიშნე, ე.ი. საქართველოში პროფესიონალები არ სჭირდებათ. მაშინ ხალხმა უნდა გამოიღვიძოს და ხელისუფლებას ყველა კითხვაზე პასუხი მოსთხოვოს, თუ არადა, არჩევნები ისევ მოვა და თავად ხელისუფლება შეიცვლება.

კანონპროექტი

სახელმწიფო ენის კანონის დარღვევისთვის 100-ლარიანი ჯარიმა წესდება?!

რისთვის სჭირდება ენის დეპარტამენტს მილიონიანი ბიუჯეტი

რუსუდან შელია, 557-100-768

საქართველოს პარლამენტში „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის განხილვა დაიწყო, რომელსაც მაუწყებლობის შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილებებიც ერთვის. საკანონმდებლო პაკეტის ინიციატორი განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტია, ავტორი კი ენათმეცნიერებისა და იურისტთა ჯგუფი, რომელიც ბოლო 17 წელია აღნიშნულ საკითხზე მუშაობს. კანონპროექტი სახელმწიფო ენის სტატუსს, მისი დაცვის გარანტიებს, სახელმწიფოსა და სხვა ენის გამოყენების თავისებურებებს, განათლების ენის არჩევის შესაძლებლობასა თუ სახელმწიფო ენის გამოყენების პრინციპებს ეხება. ინიციატივას, მომხრეებთან ერთად, მოწინააღმდეგეებიც მრავლად ჰყავს, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევით აპელირებენ. „ვერსიასთან“ საუბრისას პროექტის ერთ-ერთი ავტორი ლევან ღვინჯილია ირწმუნება, რომ საზოგადოების ნაწილი არარსებული რისკების გაზვიადებას ცდილობს, რეალურად კი, კანონპროექტი საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლებების დაცვას გულისხმობს: „სახელმწიფო ენის შესახებ კანონი 50 წლის წინ უნდა მიეღოთ... ჯერ კიდევ ფარნავაზის მეფობისას, ჩვ.წ. IV-III საუკუნეებში მსგავსი პრეცედენტი არსებობდა — „ამან განავრცო ენა ქართული და არ იძრახებოდა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“... ეს სწორედ სახელმწიფო ენის სტატუსს გულისხმობს. დღეს ხომ არავინ კითხვას, რამდენად აუცილებელია დედა გყავდეს, მას უვლიდე და პატივს ცემდე? ენის შესახებ კანონის მიღებაზე იგივე შინაარსის შეკითხვის დასმა გაუმართლებლად მიმაჩნია. ამის გარეშე არ შეიძლება. სამწუხაროდ, 17 წელია, კანონპროექტი ძალაში ვერ შევიდა... 1997 წლის შემდეგ, მხოლოდ 2002 წელს გავიდა კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე, მაგრამ ქვეყანაში რევოლუციით ახალი ხელისუფლება მოვიდა და დღის წესრიგიდან მოიხსნა. მერე, წინა ხელისუფლებამ, სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია თუ კომისია გააუქმა. 2012 წელს ვითარება შეიცვალა, სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ კი, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში იყო მითითებული“. წინასაარჩევნო დაპირების შესრულებაზე საუბრობს განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კილურაძეც და „ვერსიასთან“ კანონმდებლობის დეტალებს განმარტავს.

— „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში მითითებული იყო, რომ ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მიენიჭებოდა. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის დღის წესრიგიდან მოხსნაც დაუშვებელია. დღეს სახელმწიფო ენის კანონზე ქართული ენათმეცნიერების ელიტა მუშაობს — ეს ხალხი მსოფლიო დონის ენათმეცნიერებად მიიჩნევა.

— ბატონო ვანო, საზოგადოების ნაწილმა კომიტეტის ინიციატივა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დისკრიმინაციად შეაფასა.

— თუ ვამბობთ, რომ სახელმწიფო ენას მეტი პატივისცემა სჭირდება, ეს დისკრიმინაციაა? ვერავინ დამისახელებს პუნქტს, რომელიც დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს.

— ერთ პუნქტს დაგისახელებთ — ქართულ ენაზე მაუწყებელ ტელევიზიებში ეთნიკურ უმცირესობებს ეთერის 10% ეთმობა და ისიც აუცილებლობის შემთხვევაში. ვინ უნდა განსაზღვროს, რა აუცილებელია და რა არა?

— ტელევიზიის ეთერში გასული ნებისმიერი გადაცემა მაყურებლისთვის საინტერესო უნდა იყოს, თანაც ეს არხის დირექტორის გადასაწყვეტია და სახელმწიფო ვერ ჩაერევა. საუბარია იმაზე, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომლებიც მაუწყებლობენ სახელმწიფო ენაზე, არასახელმწიფო ენებს საეთერო დროის არა უმეტეს 10% უნდა დაეთმოს.

— იცით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები კომიტეტის ინიციატივას როგორ შეხვდნენ?

— ზოგადად, სიმპათია ყოველთვის ორმხრივია. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ სიმპათიით ვარ განწყობილი, ამიტომ მგონია, მათაც იგივე დამოკიდებულება აქვთ.

დასასრული მე-5 გვერდზე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რას მოიტანს შსს-სა და უშიშროების გაყოფა

რატომ არ ჩქარობს ხელისუფლება საარჩევნო დაპირების შესრულებას — ექსპერტ ლევან ალაფიშვილის შეფასებები

შევარდნაძის ეპოქიდან მოყოლებული, ძალოვანი უწყებები ხელისუფლების დასაყრდენია, თუმცა „ვარდების რევოლუციამდე“ შს და უშიშროების სამინისტროები დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა და კონსტიტუციაშიც არსებობდა ნორმა, რომელიც ძალოვანი უწყებების გამსხვილებას კრძალავდა. „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე, 2004 წელს, სააკაშვილმა ეს ნორმა გააუქმა — შსს, უშიშროების შეერთების ხარჯზე, გააძლიერა და სათავეში ვანო მერაბიშვილი ჩაუყენა. მართალია, მერაბიშვილი დიდი ხანია „მატროსოვის“ ბინადარია და საქართველოშიც სხვა პოლიტიკური რეალობაა, მაგრამ კანონიცა და სისტემაც იგივეა. ბოლო დროს ითქვა, რომ დღის წესრიგში შესაძლოა, შსს-დან უშიშროების გამოყოფის საკითხი დადგეს, თუმცა შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორია ამას არ ადასტურებს... რას მოიტანს შსს-დან უშიშროების სამსახურის გამიჯვნა? — ამ კითხვით „ვერსიამ“ იურიდიული საკითხების ექსპერტ ლევან ალაფიშვილს მიმართა.

— ამ საკითხზე ხელისუფლების შიგნით მუშაობა მიდის და ინფორმაცია პრემიერის დონეზეც დადასტურებულია, მაგრამ ნაწილს ამის საჯარო აღიარება, უბრალოდ, ეუხერხულება, რაც გაუგებარია. მხოლოდ შსს-ს ფუნქციურ გაყოფაზე კი არ მუშაობენ, არამედ, ჯერ კიდევ აპრილში განაცხადეს, ფარულ საქმიანობასთან დაკავშირებით უწყებათაშორისი ჯგუფია შექმნილი და სტრატეგიას ვამუშავებთო. ეს ის თემა არაა, რომლის გადაწყვეტასაც ვინმე დღეს და ხვალ ითხოვს, როგორც ეს 2004 წელს მოხდა, თორემ იგივე შეცდომას დავუშვებთ, რის შედეგსაც, სამართლებრივ დონეზე, 2004 წლიდან ვიმკით.

— უდიდესი მხარდაჭერით მოსულ სააკაშვილს ძალოვანი უწყების გამსხვილება რატომ დასჭირდა, ან ამ უწყების დაშლით დღეს რა შეიცვლება?

— 2004 წელი რევოლუციის შემდგომი პერიოდი იყო და ახალი ხელისუფლება თავს საკმარისად მყარად არ გრძნობდა — არსებობდა რევანშის, წარუმატებლობის საფრთხე და ა.შ. ახალგაზრდა ხელისუფლებას, ერთი წლის განმავლობაში, კანონიდან გადაცდომები ერთეული შემთხვევების დონეზეც არ ჰქონია და სწორედ ამ ერთი წელში კონსიტუტციიდან ამკრძალავი ნორმის ამოღება წარმატებით მოახერხა. ამგვარად, სააკაშვილმა შექმნა ვერტიკალი, რომლის სათავეში თავად მოექცა, ძალოვანი მინისტრები კი მხოლოდ მასთან იყვნენ ანგარიშვალდებულნი — ისინი მართავდნენ ქვეყანასაც და ეკონომიკასაც, რაც სიმახინჯე იყო. ამას მოჰყვა ცვლილებები დაზვერვით და კონტრდაზვერვით საქმიანობაში. კანონში დღემდე არსებობს ჩანაწერი, რომ სპეცსასამხურების ფარული საქმიანობის კონტროლი არც სასამართლო და არც საპროკურორო ზედამხედველობას არ ექვემდებარება. აი, აქ უნდა დავსვათ უმთავრესი კითხვა: თუკი სპეცსამსახურების ფარული საქმიანობა არ კონტროლდება, შს სამინისტროს შენობაში ჩინოვნიკი რა საქმიანობას აწარმოებს — ოპერატიულ-სამძებროს თუ კონტრდაზვერვითს, ამას ვინმე არკვევს? ეს სამსახურები გამიჯნული არაა.

— ანუ, როცა ვთქვათ, ვიღაცას ფარულად უსმენენ, არც შიდაუწყებრივი კონტროლი არსებობს და არც სხვა ტიპის?

— კანონში პირდაპირ წერია, რომ ფარული საქმიანობა ზედამხედველობას არ ექვემდებარება. ვთქვათ, დღეს თანამშრომელს ვიღაცის ჩანერის ან დაშანტაჟების სურვილი გაუჩნდა ზუსტად ისე, როგორც ამას კუდ-ი აკეთებდა — შექმნის ქაღალდზე რაღაც ისტორიას, იტყვის, ლევან ალაფიშვილი სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმიანობას ეწევა და უნდა ჩავწეროო. შეთხზული ისტორიის ნამდვილობას არავინ ამოწმებს. ეს საქმიანობა სისხლის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ პროცედურებს არ გადის. კანონში ისიც პირდაპირ წერია, ამ ფარული ღონისძიებებისა და ინფორმაციის მოპოვების მეთოდები, ტაქტიკა და ხერხები საპროკურორო ზედამხედველობას არ ექვემდებარებაო. ახლა მე და თქვენ შეიძლება ხელი მოგვკიდონ, გვაწამონ და ამისთვის კაციშვილი პასუხს ვერ მოსთხოვს. მერე, შედეგს მიიტანენ, აი, დაწერეს აღიარებითი ჩვენებაო და არავინ იკითხავს, ეს ჩვენება როგორ მოიპოვეს.

— როცა ხელისუფლება შსს-ს გაყოფაზე საუბრობს, ამ უწყების სხვადასხვა შენობაში გადანაწილება იგულისხმება თუ საკანონმდებლო ბაზის ცვლილება?

— ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ესაა და, როგორც ჩანს, „ოცნების“ კოალიციაში გაიხსენეს, რომ ამ უწყების გაყოფა წინასაარჩევნო დაპირებების ერთ-ერთი პუნქტია. ხელისუფლებამ ეს თემა არასწორ ფაქტს მიაბა, ცვლილება კონსტიტუციაში უნდა შევიტანოთო. რად უნდა კონსტიტუციის ხელის ხლება „საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებას? ამ თემას კონსტიტუცია ერთადერთი რამის გამო მიება — ესაა ფორმატი, რომელიც „ოცნებას“ აწყობს, რადგან კონსტიტუციის შესაცვლელად „ოცნებას“ ნაციონალების მხარდაჭერა სჭირდება, რაც არ ექნება. ამგვარად, ცვლილებათა ამ პაკეტს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე გადადებენ და იტყვიან, ჩვენ კი გვინდა, მაგრამ ნაციონალები მხარს არ გვიჭერენო. არადა, ცვლილებები მხოლოდ პროფილურ — დაზვერვის, კონტრდაზვერვის, ოპერატიულ-სამძებრო და მთავრობის სტრუქტურისა და უფლებამოსილების შესახებ კანონებშია შესატანი. პრინციპული ის კი არაა, ერთი სამინისტროს ადგილზე ორი შეიქმნას, არამედ ის, რამდენად იარსებებს ამ სისტემის კონტროლის მექანიზმი. უცხოეთის მაგალითებს რომ არ გამოვეკიდოთ, აქაც გვაქვს ფინანსთა სამინისტრო, სადაც საგამოძიებო, შემოსავლების სამსახურები და მომსახურების სააგენტო ფუნქციონირებს, მაგრამ მათი პასუხისმგებლობაც გამიჯნულია.

— უფრო კონკრეტულად, ამ უწყებაში რა როგორ უნდა გაიმიჯნოს და რა იქნება კონტროლის ყველაზე ეფექტური მექანიზმი?

— აქ მთავარი პოლიტიკური ნება და ფუნქციების სწორი და მკაფიო გამიჯვნაა. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც გამიჯნული იქნება. მაგალითად, სუს-ს ექნება სპეცსამსახურების მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქცია და ამ სისტემაში კრიმინალის ხაზით არავინ იმუშავებს. მეორე მხარეს რჩება, ვთქვათ, ოპერატიულ- სამძებრო საქმიანობა. ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმებით კი ადამიანის უფლებების დარღვევა სასამართლოს კონტროლის გარეშე შეუძლებელი გახდება. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ცალკე, სისტემის გარეთ ყველასგან დამოუკიდებელი სამსახურის შექმნა იქნება, სადაც თავს ფარულ ტექნიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური საშუალებები მოიყრის.

— დღეს რევანშის საფრთხე მაღალია და ამას არც ხელისუფლება უარყოფს. ამ ფონზე ძალოვანი უწყების დანაწევრება გამართლებულია?

— აქ ერთი უცნაურობაა — შს სამინისტროს მაღალჩინოსნის, მინისტრის მოადგილისა და ნაციონალების პოზიცია ერთმანეთს დაემთხვა. ეს ვერ ამოვხსენი, ლოგიკა არ მესმის ანუ ის კარგი სისტემა იყო და არ უნდა შეიცვალოს?! თუ ცუდი იყო, მაშინ ახლაც იგივეა და რატომ არ იცვლება? 5 თვის წინ, აპრილში, ისე, რომ პრემიერიც საქმის კურსში იყო, კრიზისების მართვის საბჭოს მაღალჩინოსანმა თქვა, შსს-ს გაყოფაზე ვმუშაობთო. დღეს თუ რამე შეიცვალა, ამის შესახებ საჯაროდ უნდა გვამცნონ და არა — მინისტრის მოადგილეების დონეზე.

— საერთოდ, ბატონო ლევან, პრობლემა პერსონებშია თუ სისტემაში?

— ვანო მერაბიშვილი სისტემამ გააძლიერა და არა — პირიქით. ახლაც სისტემური საფრთხეები უნდა განეიტრალდეს და არა პერსონა. როცა ეს მთავრობა მტკიცდებოდა, თქვი, პრემიერს ჯერ სამთავრობო გუნდში და მერე, თავად კოალიციაში ლიდერად დამკვიდრებისთვის ბრძოლა მოუწევს და, პლუს, ქვეყანაც უნდა მართოს-მეთქი. ამ შემთხვევაში, მისი ამოცანა, ძალაუფლების სწორად გადანაწილება უნდა იყოს, რაც ზედმეტ პასუხისმგებლობასაც ჩამოაშორებს. აი, ამ დამკვიდრებისთვის, ერთადერთი, რასაც ღარიბაშვილი სხვებზე მეტად იცნობდა და შეეძლო, დაყრდნობოდა, შს სამინისტრო იყო — ღარიბაშვილი იქიდან მოვიდა.

— ამ გლობალურ ცვლილებებზე საპარლამენტო ნდობის ჯგუფმა კონტროლი უნდა განახორციელოს?

— ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი სტრუქტურაა, მაგრამ მას სახელმწიფოსა და უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს და არა თითოეულ საქმეზე ზედამხედველობის უფლება. ამ ჯგუფს ეხება სპეცსამსახურების საბიუჯეტო კონტროლი, მათ შორის წინასწარიც — ვიდრე ბიუჯეტი დამტკიცდება, ჯგუფი უფლებამოსილია, სრულად გაიაროს, კონკრეტულად რა პროგრამებს ახორციელებს თავდაცვის ან შს სამინისტრო. მაგალითად, სამინისტრომ უნდა დაასაბუთოს, რა ტიპის და რა თანხის აპარატურა სჭირდება და ყველაფერი ეს ნდობის ჯგუფმა დეტალურად უნდა გაიაროს. ჯგუფი აკონტროლებს დამტკიცების შემდგომ ხარჯვასაც, რისი უფლებაც, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მეორე კაცია, პარლამენტის თავმჯდომარესაც არ აქვს. ამ ცვლილებებზე მსჯელობის დასაწყებად საუკეთესო დრო სწორედ ახლაა — თემა მედიაში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებაში უკვე გახსნილია, მთავრობა და შესაბამისი უწყებები ამ პროცესსა და საკუთარ მოქალაქეებს არ უნდა გაემიჯნონ.

სახელმწიფო ენის კანონის დარღვევისთვის 100-ლარიანი ჯარიმა წესდება?!

მე-4 გვერდიდან

გასაყოფი არაფერი გვაქვს, პირიქით, დარწმუნებული ვარ, ეს კანონი თანამემამულეებთან კი არ დაგვაშორებს, დაგვაახლოებს. მართალია, აღნიშნული კანონი ყველა სახელმწიფოში არ მოქმედებს, მაგრამ აქვს ისეთ ქვეყანას, როგორიც, მაგალითად, საფრანგეთია. საქართველო კი, საფრანგეთზე ბევრად პატარა და მცირერიცხოვანი სახელმწიფოა. სამწუხაროდ, საქართველოში დღეს გაცილებით ნაკლებს ფიქრობენ ენის დაცვაზე, ვიდრე მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, როცა რუსეთმა ჩვენი ქვეყანა დაიპყრო... მაშინ ახლადშექმნილ უნივერსიტეტში ლექციებს ქართულად კითხულობდნენ და ეს მართლაც საამაყოა.

— კანონპროექტით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ქართული ენის სწავლა სავალდებულო ხდება, არა?

— ამ თემაზე უმცირესობის წარმომადგენლებთანაც ვაპირებთ საუბარს. თუ ვამბობთ, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლება აუცილებელი არაა, გამოდის, ისინი ჩვენი ძმები და თანამემამულეები არ არიან და გავრიყეთ, რადგან სახელმწიფოში მათგან განცალკევებულ პოლიტიკას ვაწარმოებთ.

— ეს კანონი ეთნიკურ უმცირესობებს შორის კონფლიქტის გაღვივებას ხომ არ შეუწყობს ხელს?

— ისევ საფრანგეთის მაგალითს მოვიშველიებ: საფრანგეთის თითოეული მოქალაქე, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ფრანგული ენის სიწმინდეს იცავს. რატომ არ შეიძლება, იგივე საქართველოშიც განმეორდეს? მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რომელი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ჩვენ ერთნი ვართ. თუ ეთნიკურად ქართველი უტაქტოდ იქცევა და დანაშაულს სჩადის, მის წინააღმდეგ კანონის შესაბამისად იმოქმედებენ. ვისაც არ ესმის, რომ საკუთარი თანამოქალაქის ღირსება უნდა დაიფასოს, მასთან საუბარიც ზედმეტად მიმაჩნია. როცა ვამბობთ, რომ ქართული ენა ყველამ უნდა იცოდეს, რატომ უნდა გავიგოთ ცუდად? ამ საკითხით სპეკულაცია გაუმართლებლად მიმაჩნია. რაც მთავარია, თავად ეთნიკური უმცირესობიდან პროტესტს არ ველი. ენის კანონზე საუბარს მათთანაც დავიწყებთ — დამუშავებულ და ჩამოყალიბებულ პუნქტებს გავაცნობთ. თუ რამე ეხამუშებათ, აუცილებლად გავითვალისწინებთ. კანონპროექტის პირველი ვარიანტი გამართული არ იყო, მაგრამ გასწორდა და დამუშავდა. ეს პროცესი გრძელდება.

— ვინ დაარეგულირებს ყველაფერ ამას — ახლადაშექმნილი სახელმწიფო ენის დეპარტამენტი?

— სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან ერთად, სახელმწიფო ენის ნორმების დამდგენი კომისიაც იქმნება, რომელიც კონტროლს სწორედ ამ მიმართულებით განახორციელებს და პრემიერ-მინისტრს დაექვემდებარება. მას სახელმწიფო ენისადმი ყურადღება ევალება.

— მორიგ ბიუროკრატიულ ორგანოს ხომ არ მივიღებთ?

— არა, კომისია ბიუროკრატიული ორგანო ვერ იქნება. ჯერ-ჯერობით, არავინ იცის, ვინ იქნებიან ამ კომისიის წევრები, თუმცა ამ საკითხზეც ვიმუშავებთ.

— რა სადამსჯელო ღონისძიებებია განსაზღვრული იმ პირისა თუ კომპანიისთვის, რომელიც კანონის მოთხოვნას არ დაემორჩილება?

— სადამსჯელო ღონისძიება ძირითადად გაფრთხილებაზეა ორიენტირებული. თუ რომელიმე კომპანია არანორმალური, ოდიოზურია და პირველ გაფრთხილებას

არ დაემორჩილება, ამის შემდეგ გარკვეული საჯარიმო თანხებია განსაზღვრული, რომელიც 100 ლარს არ სცილდება, თუმცა დარწმუნებული ვარ, პირველივე გაფრთხილებაზე მოთხოვნას ყველა გაითვალისწინებს. ამ მხრივ ლატვიაში 11 სხვადასხვა სადამსჯელო ღონისძიება არსებობს, რომელიც ურჩი კომპანიის კოლოსალური თანხებით დაჯარიმებას გულისხმობს.

რაც შეეხება ენის პალატას, ის მართლაც ეფექტურად მუშაობდა. ყველას კარგად გვახსოვს სარეკლამო ვიდეორგოლებიც: „შეცდომაა, სწორია“. არ ვიცი, ახლა მუშაობა რა მეთოდით გაგრძელდება, მაგრამ ყველაფერი დაიხვეწება.

— ჯერ არშექმნილი ენის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის გამოყოფილი მილიონნიანი ბიუჯეტიც სადაოა. კომიტეტი კანონპროექტში მითითებულ ფინანსებს რატომ ვერ ასაბუთებს?

— ერთმილიონიანი ბიუჯეტი მხოლოდ პირობითად დასახელდა და არაა საბოლოოდ დადგენილი, რამდენი ადამიანი იმუშავებს სახელმწიფო ენის დეპარტამენტში — 50 თუ ნაკლები. ეს ვარიანტი პროექტის ავტორებმა შემოიტანეს, თუმცა განხილვის დასრულებამდე გარკვეული პუნქტები კიდევ შეიცვლება.

როგორ ფლანგავდა ლევან ვარშალომიძე ბიუჯეტის ფულს – აუდიტის სკანდალური დასკვნა

აჭარის უმაღლეს საბჭოში აღმოჩენილი დარღვევები და ადმინისტრაციული შენობის რემონტში, კომპიუტერული ნაწილების შესყიდვაში, ინტერნეტით მომსახურებასა და თანამშრომელთა მივლინებებში არამიზნობრივად გახარჯული სახსრები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ვერსია“ აუდიტის სახელმწიფო სამსახურის იმ მასალების გამოქვეყნებას განაგრძობს, რომლებიც ექსკლუზიურად, ოფიციალური წერილის საფუძველზე მოიპოვა. აუდიტის სახელმწიფო სამსახურის შემოწმების აქტები უკვე მთავარ პროკურატურაშია გადაგზავნილი და სხვადასხვა უწყებას ეხება. ამჯერად, აუდიტის სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის დასკვნას გაგაცნობთ. უმაღლესი საბჭოს აუდიტის ანგარიში 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს. დასკვნაში ასახულია საბჭოს გაწეული საქმიანობა, ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ანგარიშგებები: საკასო და საბანკო ოპერაციები, თანამშრომელთა მივლინებები, კომუნალური ხარჯი, შრომის ანაზღაურებისთვის გაწეული ხარჯი, ძირითადი საშუალებების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯი.

დარღვევები სარემონტო სამუშაოებში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და საექსპერტო მომსახურებისთვის, ორ შემთხვევაში, 25 818 024 ლარია გადახდილი. სამუშაოების შესრულება დადასტურებულია, მაგრამ აუდიტებმა დაასკვნეს, რომ სამუშაო სრულყოფილად არ შესრულებულა. 2010 წლის 24 დეკემბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და შპს „სამშენებლო-სამონტაჟო კომპანიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2011 წელს უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური შეკეთებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულება — 2 189 648 ლარი მომწოდებელს ეტაპობრივად გადაუხადეს. 2011 წლის დეკემბრისა და 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საბალანსო მონაცემებში შენობის მთლიანი ღირებულება ნაშთად ირიცხება.

უმაღლესმა საბჭომ, 2011 წლის 10 იანვარს, უმაღლესი საბჭოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის, ფაქტობრივად, შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისა და ღირებულების რეალობის, სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული კონსტრუქციებისა და მასალების სტანდარტებთან შესაბამისობის, ფარული სამუშაოების შესრულებისა და სხვა სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობისთვის ფიზიკურ პირ ზურაბ ჩურკვეიძესთან ხელშეკრულება გააფორმა. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანებით შექმნილმა ინსპექტირების ჯგუფმა ეტაპობრივად დაადასტურა, რომ ზურაბ ჩურკვეიძემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეასრულა. ამის საფუძველზე, ფიზიკურ პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება — 14 870 ლარი გადაუხადეს. 2012 წლის 1 თებერვალს, უმაღლესი საბჭოს აპარატმა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან“ ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ახალი ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება უნდა დაედგინა. ბიუროს დასკვნით, ამ სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან 10 948 024 ლარი გადაიხადეს.

აუდიტის სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლებმა, მტკიცებულებების თანახმად, დაასკვნეს, რომ უმაღლესი საბჭოს ახალ ადმინისტრაციულ შენობაში გათბობის სისტემა მწყობრიდან იყო გამოსული, 2013 წლის 9 იანვრის მდგომარეობით კი გათბობა-კონდიცირების სისტემის ელექტრონული მართვის სქემა (პლატა) მოწოდებული არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, აუდიტებს მიაჩნიათ, რომ საექსპერტო და ტექზედამხედველობის დასკვნები და სამუშაოების ფაქტობრივი შესრულების შესაბამისობა მაღალი რისკისშემცველია.

ხარვეზები კომპიუტერული ნაწილების შესყიდვაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, კომპიუტერული ნაწილების შესყიდვის პროცესის არასათანადოდ დაგეგმვის შედეგად, 1 352 ლარი არამიზნობრივად გახარჯა. აუდიტორული დასკვნით ირკვევა, რომ ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის დანერგვისა და ტექნიკურად გამართული მუშაობისთვის, იურიდიული, საკადრო და საქმისწარმოების დეპარტამენტის ინფორმაციით, ჩვეულებრივი მომხმარებლების პერსონალურ კომპიუტერებს სჭირდებოდა 2 გიგაბაიტის ოდენობის ოპერატიული მეხსიერება, საქმისწარმოებისთვის კი — 4. 2012 წლის 13 ივნისს, უმაღლეს საბჭოსა და შპს „ალგორითმს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სხვა ელექტრონულ მოწყობილობებთან ერთად, 3 640 ლარის ღირებულების პერსონალური კომპიუტერის 70 ერთეული ოპერატიული მეხსიერება შეიძინეს. აქედან, 44 ცალი 22 ერთეულ პერსონალურ კომპიუტერში დაამონტაჟეს. დარჩენილი 26 ერთეული ოპერატიული მეხსიერების დამონტაჟება კი, როგორც პასუხისმგებელმა პირებმა განმარტეს, სიხშირის შეუთავსებლობის გამო, ვერ მოახერხეს. შესაბამისად, ოპერატიული მეხსიერების საჭირო მახასიათებლების გაუთვალისწინებლად, ელექტრონული შესყიდვის შედეგად, 1 352 ლარი არარაციონალურად გაიხარჯა.

უმაღლესი საბჭოს ინტერნეტით უზრუნველყოფისა და აბონენტად რეგისტრირებისთვის განხორციელებული სამუშაოებისთვის, ს/ს „სილქნეტთან“ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით, საბჭო ყოველწლიურად 1 400 ლარს იხდიდა, რაც აუდიტების შეფასებით, არაეკონომიური ხარჯი იყო. 2010 წლის 3 ნოემბერს, უმაღლესმა საბჭომ ს/ს „სილქნეტის“ დირექტორს წერილით მიმართა და საკომუნიკაციო ქსელში ჩასართავად და საპროექტო დოკუმენტაციის დასამუშავებლად, ტექნიკური პირობების მიწოდება მოითხოვა. 2012 წლის 8 ნოემბერს, „სილქნეტმა“ ტექნიკური პირობა და შესასრულებელი სამუშაოების ნახაზი გასცა. დოკუმენტებში მითითებულია საკომუნიკაციო ქსელში ჩართვის პირობები და შესასრულებელი სამუშაოები, მათ შორის, „სილქნეტის“ სატელეფონო არხით სარგებლობის უფლება, მაგრამ მითითებული არაა, რა სახის საიჯარო ვალდებულებები უნდა გაეწია საბჭოს შემდგომ პერიოდში.

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და „სილქნეტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც უმაღლესმა საბჭომ „სილქნეტის“ სატელეფონო არხით სარგებლობის უფლება შეისყიდა. წარმოდგენილი მტკიცებულებებით, აუდიტის პერიოდში უმაღლესმა საბჭომ სატელეფონო არხით სარგებლობისთვის 1 400 ლარი გადაიხადა. ამ სახის მომსახურებაზე 2013 წელსაც გაფორმდა ხელშეკრულება და ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფაც გაგრძელდა. აქედან გამომდინარე, აუდიტებმა დაასკვნეს, რომ, თუკი უმაღლესი საბჭო საკომუნიკაციო ქსელში ჩასართავად შესასრულებელ სამუშაოებს ეფექტურად, დროულად და სწორად განსაზღვრავდა, „სილქნეტის“ სატელეფონო არხით სარგებლობისთვის საიჯარო ვალდებულების წარმოშობის აუცილებლობა შემცირდებოდა.

დარღვევები ფინანსურ ანგარიშგებაში

ფინანსური ანგარიშგების აუდიტით, უმაღლესი საბჭოს შიდაკონტროლის სისუსტე გამოვლინდა. კერძოდ, აჭარის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე, სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებისთვის, გამოყოფილია 1 013 ლარის საწვავი მაშინ, როცა მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯის ანაზღაურების წესი მივლინებაში მყოფი პირის მგზავრობისთვის საწვავის შეძენა-ხარჯვას არ ითვალისწინებს; ამასთან, აუდიტის პერიოდში წარდგენილი სალარო აპარატის ფისკალური ჩეკებით აუდიტებმა შემსყიდველის იდენტიფიცირება ვერ მოახერხეს; მეტიც — ჩეკზე დატანილი ბენზინგასამართი სადგურების მისამართები, შესყიდვის დრო და თარიღი შეუსაბამობაშია მივლინების დანიშნულების ადგილსა და დროსთან. შესაბამისად, მივლინების პერიოდში საწვავის შესყიდვის შიდაკონტროლის მექანიზმი არაეფექტურია.

ცალკეულ შემთხვევებში, ქვეყნის შიგნით მივლინება ისეა განხორციელებული, ამის შესახებ არც მივლინებული პირების მიერ და არც ბრძანებებში, სამსახურებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მითითებული არ არის.

2012 წელს, უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 3 442 000 ლარს შეადგენდა, არასაფინანსო აქტივები კი 190 000 ლარით იყო განსაზღვრული. წლის განმავლობაში, ბიუჯეტი ექვსჯერ შეიცვალა და 2012 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 3 973 400, არასაფინანსო აქტივები 197 300, ვალდებულებები კი 900 ლარუ იყო. აუდიტის პერიოდში, 3 951 171 ლარის საკასო ხარჯი გასწიეს, მათ შორის შრომის ანაზღაურება — 2 640 552, საქონელი და მომსახურება — 1 252 820, სოციალური უზრუნველყოფა — 40 969, სხვა ხარჯი — 16 830, არასაფინანსო აქტივების ზრდა — 196 411, ფაქტობრივი ხარჯი 3 936 485 ლარი. რაც მთავარია, ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა — 20 980 ლარი გაწეულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, რაც შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული თანხის აუთვისებლობამ, ასევე შეძენილი და გაუხარჯავი საწვავის ნაშთმა გამოიწვია. სახელმწიფო აუდიტები ასკვნიან, რომ წლის განმავლობაში ბიუჯეტის ხშირი ცვლილება მის არასწორად დაგეგმვაზე მიუთითებდა.

მობილური ტელეფონების ასტრაბარათების ხარჯის ტესტირებითა და წარმოდგენილი უწყისებით დადგინდა, რომ თანამშრომლებზე გაცემულია 26 505 ლარის ასტრაბარათი და, როდესაც 2012 წლის იანვარ-თებერვალში, ლიმიტების დაწესებასთან დაკავშირებით, უმაღლეს საბჭოს შესაბამისი ბრძანება არ გამოუცია, თებერვალში თანამშრომლებზე 4 400 ლარის ღირებულების მონობარათები გასცეს, რაც ხარჯად აღიარეს.

რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობით ხარჯს, აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ამ მუხლით, 2012 წლის 31 ივლისს, შპს „პოლიგრაფ სერვისიდან“ 4 000 ლარის ღირებულების საკანცელარიო ნივთები და სასაჩუქრე პაკეტები შეიძინეს. როგორც აუდიტებმა დაასკვნეს, საკანცელარიო ნივთებიცა და სასაჩუქრე პაკეტებიც შიდამოხმარებისთვის გამოიყენეს, არადა ისინი წარმომადგენლობითი დანიშნულებით უნდა გაეხარჯათ.

„ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ახალი გადამცემი ხაზი ააშენა

„ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ახალი, 110-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის სატრანზიტო-გადამცემი ხაზის მშენებლობა დაასრულა. 12 კმ სიგრძის ხაზი „ნიგვზიანი“, 110-კილოვოლტიან ქვესადგურს „ლანჩხუთი-წევას“, ასევე 110-კილოვოლტიან ქვესადგურთან „ფოთი 2“-თან დააკავშირებს. აღნიშნულ ხაზს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან გაზრდის ელექტროენერგიის მიწოდების სტაბილურობას და მეტი სიმძლავრეების გატარების საშუალებას იძლევა. პროექტის ღირებულება 3 500 000 ლარია.



110-კილოვოლტიანი ხაზი „ნიგვზიანი“ ექსპლუატაციაში სექტემბრის ბოლოს შევა

მაღალი ძაბვის სატრანზიტო-გადამცემი ხაზი „ნიგვზიანი“, ელექტროენერგიას ურეკისა და ფოთის ზონას მიაწვდის. დღემდე აღნიშნულ რაიონებს ელექტროენერგია მიეწოდებოდა 110-კილოვოლტიანი ხაზის „ჭალადიდის“ საშუალებით. „ნიგვზიანის“ ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, სიმძლავრის მიწოდების თვალსაზრისით, ურეკისა და ფოთის ზონას კვების მეორე წყარო გაუჩნდება, რაც ელექტროენერგიის უწყვეტი და სტაბილური მომარაგების გარანტიაა. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი „ნიგვზიანი“ ექსპლუატაციაში სექტემბრის ბოლოს შევა:

„ახალი, მაღალი ძაბვის სატრანზიტო-გადამცემი ხაზის „ნიგვზიანის“ ექსპლუატაციაში შესვლით, ურეკისა და ფოთის ზონის ელექტროენერგიის მიწოდების სტაბილურობა 100%-ით გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის მიერ განხორციელებული გეგმიური და ავარიული გათიშვების შემთხვევაშიც კი, რაც სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისას ხდება, ურეკსა და ფოთში ელექტროენერგიის მიწოდება არ შეფერხდება. ავარიული რეჟიმის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება, რომ „ნიგვზიანის“ საშუალებით, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ქობულეთის, სამტრედიის, ხონისა და ბათუმის მომხმარებლების ნაწილს ძაბვა ალტერნატიული კვების წყაროებიდან მიეწოდოს“, – განაცხადა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტექნიკურმა მენეჯერმა, ალეკო ნემსაძემ.

მაია მიშელაძე

„სადაც დამინახავ, თემურ ასანიძე, მერიდე!“

რუსთავის ციხის უსაფრთხოების ყოფილმა უფროსმა პატიმარს, ღოცვების წიგნის გამო, სიცოცხლე გაუმწარა

პატიმარი №0578

წინა ხელისუფლებისას, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მომუშავე ოფიცრებისა თუ რიგითების უმეტესობას სახეზე ეტყობოდა, რომ ინტელექტთან შორს იყო. გარდა ამას, იყვნენ ე.წ. დედიკოს ბიჭებიც, რომლებიც ბავშვობაში ან „გააბრაზეს“, ან უბანში ჩაგრავდნენ და ძველი წყენის „რეალიზაციას“ სწორედ ციხეებსა და ზონებში ცდილობდნენ. ყველა დაწესებულებაში იყვნენ გამორჩეული ჯალათები, რომლებიც პატიმრებს მხოლოდ იმის გამო ურტყამდნენ, რომ დაწესებულების გარეთ ხმამაღალ სიტყვასაც კი ვერავის შებედავდნენ, პატიმარი კი ხმას ვერ იღებდა, რადგან შეპასუხება დამატებით ცემას უდრიდა, ხელის მოქნევა — დამატებით „სროკს“...

რუსთავის 17 დაწესებულებაში პატიმრების ახალი ნაკადი მიიყვანეს. ნაკადს ვამბობ, თორემ სულ 4 პატიმარი იყო და ოთხივე გლდანის ციხიდან ე.წ. სპეცრეისით მივიდა. როგორც წესი, „სპეცრეისით“ ის პატიმრები მიჰყავდათ, რომლებსაც გარეთ პატრონი ჰყავდათ და მათ არც ეხებოდნენ, თუმცა...

„ვარონკიდან“ ჩამოსვლის შემდეგ, ოთხივე პატიმარი რიგში დააყენეს და უბრძანეს, გაიხადეთ, უნდა გაგჩხრიკოთო. პატიმრებმა ზანტად დაიწყეს გახდა და ყველაზე მეტად ერთ-ერთი მათგანი, ქუთაისელი რამაზ ც. წვალობდა. ხელში ლოცვების წიგნი ეჭირა და მიწაზე არ დებდა, ხელიდან ხელში გადაჰქონდა და ისე იხდიდა.

„დააგდე ეგ წიგნი მიწაზე“, — დაუყვირა უსაფრთხოების უფროსმა, თემურ ასანიძემ. ასანიძე, დაახლოებით, 37 წლის იყო, 150 კილოზე მეტს იწონიდა, სათვალე ეკეთა და ყოველი მოძრაობის შემდეგ, მსუქან ლოყებზე მომდგარ ოფლს ცხვირსახოცით იმშრალებდა.

„ვერ დავაგდებ, ლოცვებია. გავიხდი, არ არის პრობლემა“, — უპასუხა პატიმარმა.

ასანიძე უცერემონიოდ მიუახლოვდა და ლოცვების წიგნის წართმევა სცადა. პატიმარმა უკან დაიხია, წიგნი ოფიცრების თვალწინ გადაფურცლა და უთხრა, ხომ ხედავთ, წიგნია, შიგნით არაფერი მიდევს, მიწაზე ნუ დამაგდებინებთო. ასანიძე არ გაჩერდა, წიგნს ისევ დაებღაუჭა და რამაზს სილა გააწნა. ნახევრად გახდილი პატიმარი ასფალტზე დაჯდა, წიგნი ჩაიხუტა და დაიძახა, მცემეთ, თქვენი დედაცო... ასანიძესთან ერთად, სამი ოფიცერი ეცა და წიხლებით შედგა. პატიმარი ტკივილისგან იკლაკნებოდა, ასფალტზე გორავდა, მაგრამ წიგნს ხელს არ უშვებდა.

„რა ხდება აქ?“ — გაისმა უკნიდან და ოფიცრებმა პატიმრის ცემა შეწყვიტეს. ვერავინ გაიგო, ზონის დირექტორი ლაშა ბრეგვაძე როდის მოვიდა.

„ბატონო ლაშა, პატიმარი გვეწინააღმდეგება, არ იხდის“, — მოახსენა ასანიძემ.

„არ იხდის კი არა, ლოცვების წიგნს არ გაძლევთ და მაგიტომ სცემთ“, — ასანიძეს პატიმარი 0578 შეეპასუხა.

„რა გაქვს წიგნში“? — ახლა მიწაზე დაგდებულ პატიმარს ჰკითხა ბრეგვაძემ.

რამაზმა ცხვირიდან წამსკდარი სისხლი ხელისგულით მოიწმინდა და ბრეგვაძეს გადაუშალა ფურცელ-ფურცელ წიგნი და წაიბუტბუტა, — ლოცვებია, მხოლოდ ლოცვები და მიწაზე ამ წიგნს არ დავაგდებ...

„შეეშვით, — გამოაცხადა ბრეგვაძე, მერე კი 0578-ს მიუბრუნდა და უთხრა, — ვიცი, ვინც ხარ, ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ გახსოვდეს, აქ ყველაზე „ბლატნოი“ მე ვარ, ქურდიც მე ვარ და კაიბიჭიც, ზონის დირექტორიც და საერთოდ, ყველას უფროსი. შეპასუხება აღარ გავიგონო, თორემ ძალიან, ძალიან მაგრად გაილახები. გასაგებია?“, — იღრიალა ბრეგვაძემ და პატიმარს ისე მიუახლოვდა, შუბლი შუბლზე დაადო.

„არ გედავებით, ბატონო ლაშა, თქვენია და ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ, მაგრამ უსამართლოდ მე მომხვდება ხელი თუ სხვა პატიმარს, არ გავჩუმდები და ცალკე სახალხო დამცველის ოფისს შევატყობინებ, ცალკე მედიას. ლოცვის წიგნის გამო ამ საქონელმა კინაღამ კაცი მოკლა“, — განუცხადა პატიმარმა და ასანიძეზე მიანიშნა.

„რა თქვი, ვინ არის საქონელი“, — იღრიალა ასანიძემ და პატიმრისკენ გაიწია, თუმცა ბრეგვაძემ გააჩერა, კამერები გვიყურებს, ოთახში აიყვანე და იქ ელაპარაკეო.

ასანიძე ოთხივე პატიმარს წინ გაუძღვა და საკუთარი კაბინეტის წინ ჩაამწკრივა. პირველად გიორგი გ. შეიყვანა და თან ორი ოფიცერიც შეიყოლა. დაახლოებით, სამი წუთი გიორგის ყვირილი ისმოდა. მერე, ამირან მ-ს ჯერი დადგა და იგივე განმეორდა, მერე რამაზ ც. შევიდა და ცემა-ტყეპა არც მას დააკლეს, ბოლოს კი 0578-ს უხმეს.

ასანიძე სავარძელში გაწოლილიყო, ოფიცრები კი ფეხზე იდგნენ. პატიმარს ასანიძემ მშვიდად შეხედა, მაგიდაზე დადებულ ფურცელზე ანიშნა და უთხრა, თუ არ გინდა გაილახო, ამ ფურცელზე ხელი მომიწერეო.

„არ გამოვა, ბატონო თემურ, ეგ საქმე. ლიანდაგივით „სროკი“ მაქვს და ადმინისტრაციასთან ბოზობა რომ დავიწყო, კი იცით, რა დღეშიც ჩავვარდები. რაც შეეხება ცემას, ჯერ აქედან შევეცდები ხმაურის ატეხვას და მერე, ეს წლები გავა, როგორც იქნება და ციხე თუ თქვენია, „სვაბოდა“ ჩემია. ეს, გნებავთ, მუქარად მიიღეთ და გნებავთ დაპირებად“, — მშვიდად უთხრა პატიმარმა.

ერთ-ერთი ოფიცერი პატიმრის წინ დადგა, სილა გააწნა და ჰკითხა: — კიდევ გინდა?

„თუ გსიამოვნებს, რომ კაცს არაფრისგულისთვის ურტყამ და თან ზუსტად იცი, ხელს არ შემოგიბრუნებს, გამარტყი“, — უპასუხა პატიმარმა და მეორე გალაწუნებამაც არ დააყოვნა.

„კიდევ გინდა“? — გაიღრიჭა ოფიცერი.

„მიდი, უსამართლობის ზეიმია აქ და განაგრძე“, — სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული პატიმარს, მესამედ მოხვდა.

„კარგი, შეეშვი“, — ხმადაბლა თქვა ასანიძემ და პატიმართან თავად მივიდა.

„ჩათვალე, რომ ჯოჯოხეთში ხარ, მე კიდევ კუპრის ქვაბთან ვდგავარ და ამ ქვაბში რამდენჯერაც მინდა, იმდენჯერ ჩაგაგდებ. აი, მერე ნახავ, ვინ არის საქონელი და ვინ — სახაშლამე ხორცი“, — კბილებში გამოსცრა ასანიძემ და პატიმრები ზონაზე გადაიყვანეს.

***

როცა საპარლამენტო არჩევნებში რეჟიმი დამარცხდა, ზონებიდან ჯალათები გაქრნენ. გაქრა თემურ ასანიძეც, მაგრამ წასვლამდე 0578 ნახა.

„იმედი მაქვს, გულში ცუდი არაფერი გიდევს. ხომ იცი, სამსახური და სიტუაცია იყო ასეთი“, — უხერხული ღიმილით უთხრა პატიმარს.

„იმის გამო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში პატიმრების უსამართლოდ სცემდი, იმის გამო, რომ ტუბერკულოზიანი პატიმარი, რომელსაც პირიდან სისხლი სდიოდა, მანამ არ გადაიყვანე საავადმყოფოში, სანამ გრძნობა არ დაკარგა, იმის გამო, რომ ოცამდე პატიმარი და, მათ შორის, მეც კარცერში მხოლოდ იმიტომ ჩასვი, რომ ოჯახის წევრებთან გრძელვადიანი პაემანი ერთი წლით გადადებოდა, იმის გამო, რომ ერთ-ერთი პატიმრის დედას უთხარი, შენი შვილი მოკვდაო და მერე, როცა ქალს გული წაუვიდა და ნერვიულობაზე შაქარი დაემართა, ღიმილით მოახსენე, გეხუმრეო, სადაც დამინახავ, თემურ ასანიძე, მერიდე“, — უპასუხა პატიმარმა. იმის მიუხედავად, რომ თემურ ასანიძის წინააღმდეგ საჩივარი 500 პატიმარზე მეტმა დაწერა, გამოძიებით თავი არავის შეუწუხებია. პირიქით, ასანიძე დააწინაურეს და რაბათის ციხის იურიდიული სამსახურის უფროსად გადაიყვანეს, თუმცა რაბათის ციხის მოსანახულებლად ჩასულ ტურისტებთან ასანიძე არასოდეს ჩნდება, ვინ იცის, ეგებ შემთხვევით რომელიმე პატიმარმა იცნოს...

ლიბერთი ბანკი დავით ნარმანიას ხელშეკრულების გასაჯაროებას სთხოვს

პარასკევს, 12 სექტემბერს, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ პროკურატურას გადაუგზავნა მასალები, რომლის თანახმად, თბილისის მერიასა და ლიბერთი ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა 10 500 000 ლარით იზარალა. იმავე დღეს, ლიბერთი ბანკმა მოამზადა ვრცელი საპასუხო წერილი, რომელსაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ:

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

„დასანანია, რომ ბატონმა დავით ნარმანიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული განცხადების გაკეთება საკითხის დეტალური ანალიზისა და დაზუსტების გარეშე. თბილისის მერიას, საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ლიბერთი ბანკი 2010 წლიდან ემსახურება და 2010-2012 წლებში, საკონკურსო პირობის შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ მთლიან ნაშთს ლარში არიცხავდა საპროცენტო სარგებელს 16.5%-ის ოდენობით. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის გარემოება, რომ მერიის მიერ ნაშთების ლიბერთი ბანკში განთავსების პირობა არაექსკლუზიურია და თბილისის მერიას, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეეძლო და დღესაც შეუძლია, თავისი ნაშთი სრულად ან ნაწილობრივ განათავსოს ნებისმიერ სხვა ბანკში.

ასევე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2013-2014 წლებში, მიმდინარე და ვადიან ანაბრებზე განთავსებული ნაშთების, ბაზარზე არსებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთების მნიშვნელოვნად შემცირების გამო, სხვა ქართული ბანკების მსგავსად, ლიბერთი ბანკმაც საპროცენტო სარგებლის დარიცხვა შეამცირა 30-მდე სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციასთან არსებულ ხელშეკრულებაში (მათ შორის 10-მდე სხვა მუნიციპალიტეტთან და სახელმწიფო ორგანიზაციასთან), რომელთა საშუალო ჯამური ნაშთი აღემატებოდა 200 000 000 ლარს. შესაბამისად, თბილისის მერია არ წარმოადგენდა რაიმე სახის გამონაკლისს. 2013 წლის მერიის ბიუჯეტში, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტია, დაგეგმილი საპროცენტო სარგებელი შეადგენდა 3 200 000 ლარს, რაც წლიური საპროცენტო სარგებლის ოდენობის (16.5%) გათვალისწინებით ნიშნავდა, რომ თბილისის მერია 2013 წელს, დაახლოებით, 20 000 000 ლარის ოდენობით საშუალო ნაშთს გეგმავდა. ლიბერთი ბანკიც მერიის ფინანსურ გუნდთან წინასწარი კონსულტაციისა და მერიის ბიუჯეტში დაგეგმილი საპროცენტო შემოსავლის გათვალისწინებით ვარაუდობდა, რომ ბანკისთვის უარეს შემთხვევაში მერიის საშუალო ნაშთი იქნებოდა არაუმეტეს 40-50 000 000 ლარისა და, შესაბამისად, მოსალოდნელი საპროცენტო ხარჯი არ იქნებოდა 7 000 000 ლარზე მეტი.

2013 წლის პირველ კვარტალში, თბილისის მერიის საშუალო ნაშთმა 50-55 000 000 ლარის დიაპაზონს მიაღწია, რაც უკვე აღემატებოდა ჩვენს მიერ მოსალოდნელ საშუალო ნაშთის ოდენობას. 2013 წლის მეორე კვარტალში, მერიის ფინანსურ გუნდთან ხარჯვითი ნაწილისა და სავარაუდო ნაშთებთან დაკავშირებით კონსულტაციისას ცნობილი გახდა, რომ საშუალო ნაშთი მოსალოდნელზე რამდენჯერმე მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო, რაც ბანკისთვის დამატებით 6-10 000 000 ლარის ოდენობით გაუთვალისწინებელ საპროცენტო ხარჯს ნიშნავდა. ცნობისათვის, 2013 წელს, ბანკის წმინდა მოგებამ სულ 17 000 000 ლარი შეადგინა, ამრიგად, თბილისის მერიის ნაშთის ასეთი მოულოდნელი და მკვეთრი ზრდა ბანკის წლიურ წმინდა მოგებას სავარაუდოდ გაანახევრებდა.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, ბანკმა მიიღო წმინდა კომერციულ საწყისებზე დაფუძნებული გადაწყვეტილება — ესარგებლა თბილისის მერიასა და ბანკს შორის გაფორმებული საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორმხრივი უფლებით და წერილობითი შეტყობინების (ორ ეგზემპლარად, სარეგისტრაციო ნომრები 07/40436-5 და 07/40443-4) საფუძველზე, თბილისის მერიასთან შეეწყვიტა არსებული საბანკო ხელშეკრულება. ამავე წერილში ბანკმა გამოთქვა მზადყოფნა, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ხელახალ კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე, რადგან 2013 წლის გაზაფხულისთვის, იურიდიული პირების მიმდინარე ნაშთებზე, ბაზარზე არსებული (ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემების საფუძველზე) საპროცენტო სარგებლის ოდენობისა და მერიის საშუალო ნაშთის არასტაბილურობის გათვალისწინებით, ჩვენი გათვლებით ხელახალ კონკურსში 8%-10%-ის ფარგლებში, საპროცენტო სარგებლით დარიცხვის პირობით იქნებოდა შესაძლებელი გამარჯვება.

ამავე წერილში მერიას შევთავაზეთ კომპრომისული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც 40 000 000 ლარამდე ნაშთს, კვლავინდებურად 16.5% დაერიცხებოდა, ხოლო ამ ზღვარის ზემოთ, ლარში არსებულ ნაშთს 4% დაერიცხებოდა. ამით, ერთის მხრივ, შედარებით დაცული იქნებოდა ბანკის კომერციული ინტერესები ნაშთის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში, მეორეს მხრივ, მერია კვლავაც მიიღებდა საბაზრო პირობებზე (ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემების საფუძველზე) მაღალ საშუალო შეწონილ სარგებელს. მოლაპარაკებებისა და (ჩვენი ინფორმაციით) სხვა ბანკების შესაძლო საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პირობების გამოკითხვის შემდეგ, მერიამ არჩია ჩვენს მიერ შეთავაზებული კომპრომისული წინადადება, რის შესახებაც ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილება.

ასევე გვინდა თბილისის მერიას მივმართოთ თხოვნით და ჩვენი მხრიდან დავრთოთ ნება, საჯარო გახადოს აღნიშნულ საკითხზე ბანკის 2013 წლის 11 აპრილის წერილობითი შეტყობინება (ორ ეგზემპლარად, სარეგისტრაციო ნომრები 07/40436-5 და 07/40443-4), რათა ჩვენი მხრიდან არ მოხდეს კლიენტთან კომუნიკაციის არაკორექტულად გასაჯაროება“.

მარტოობის ოთხასი წელი ანუ ქართული სისხლის ყივილი ფერეიდანში

ნათია ნოდია

ბედის განგებით, ფერეიდნელ ქართველზე გავთხოვდი. ქორწინებიდან ერთ თვეში ირანში გადავწყვიტეთ მოგზაურობა. თვითმფრინავით მგზავრობა თბილისიდან თეირანამდე საათი და ოცი წუთია. ვღელავდი, მინდოდა, მალე მენახა ჩემი მეუღლის „მეორე სამშობლო“ — ეს ეპითეტი ლევანს სულაც არ ხიბლავს, რადგან ისიც, როგორც სხვა ფერეიდნელი ქართველები, ირანს სამშობლოდ არ მიიჩნევს...

გაგრძელება, დასაწყისი წინა ნომერში

ყონაღს გულისყურით ეკიდებიან. საგანგებოდ ამზადებენ კერძებს, ძირითადად, ბრინჯი და ხორცი, ქაბაბი, ბატკნის ჩაქაფული ანუ „საბზის ხორეშტი“, შეჭამანდი — ბარდის, ხორცისა და ბოსტნეულის ნაზავი. მაწონი, რძის პროდუქტი, სხვათა შორის, ძალიან გემრიელი. დო და მარცვლეული: ნუში, თხილი, ფესტა, ბოლოს, რა თქმა უნდა, აღმოსავლური ტკბილეული.

— თქვენ რა საჭმელები იცით? იქ მრავალშვილიანობა არ არის? ცალკე კაბით დადიხართ? (უშარვლოდ)... ყველაზე მტკივნეული კითხვა, რაც ძალიან აშფოთებთ, მუსულმანობას ეხება, რამდენია მუსულმანი ქართველი და ხომ აქვთ რწმენის თავისუფლება? თუ მითხოვდება იქაური ჩვენებურს, მხოლოდ მუსულმანს?

შეკრება მხიარულია. იხსენებენ სასაცილო ამბებს, ხუმრობენ. მე უფრო დახატული ვარ, თუ ესა, — მეკითხება მაზლი მეუღლეზე და მიცინის. ნამაია (კარგია), დაუთა, მოგწონს? — ისევ ხუმრობს (ლევანს იქ დაუთი, ანუ დავითი ჰქვია), — დაიდგები აქა? (თუ დარჩები საცხოვრებლად).

— შენ ქენარას ჰკითხე, აქ თუ დაიდგებაო — კითხულობს ჩემი დედამთილი. კი-მეთქი, — გულს არ ვწყვეტ. უი, ყორო, გაიგო, მე მეგონა, სპარსულად ვთქვი, — იცინის. ზოგადად ტაქტიანია, ახლა კი ორ ენას შორის დაკარგულა.

ქალბატონი ზობეიდა საკმაოდ პატივცემული ქალია ფერეიდანსა და ზოგადად, ირანის ქართველებში. რვა შვილი გაზარდა და ყველა გზაზე დააყენა, ნამა (კარგ) ადგილებზე სხედან (მუშაობენ), — ამბობენ მეზობლები ლევანის დედაზე. ჩემს მეუღლეს მამა ათი წლის წინ გარდაეცვალა.

ირანსა და ირანის მიწაზე არსებულ პატარა საქართველოში, ფერეიდანში, უფროსებს პატივით ექცევიან. უფროსი დედმამიშვილის კულტია, უფროს ძმას „ქაქას“ ეძახიან და სანამ სახელს იტყოდნენ, წინ ქაქას დაურთავენ, ქაქ დაუთი, მაგალითად. ზოგადად, ჩემი მაზლი სიმკაცრით, გაუცინრობით იყო ცნობილი, თუმცა მსგავსი ვერაფერი შევატყვე, სულ მიღიმოდა.

ჩემი მულიც ისეთია, ვეღარაფერი მომიწონებია შიშით, თუ რამ მოვიწონე, სულ აიღე, აიღეს, ამბობს და მჩუქნის. საუბარს ვახერხებთ, მხოლოდ ზოგჯერ, ავიწყდებათ, რომ ქართულად თქვან ან კიდევ არ იციან ქართული შესატყვისი და სპარსულს ურევენ. ამაყობენ ქართველობით, უფრთხილდებიან ენას, წარმომავლობას. მხოლოდ გურჯზე ქორწინდებიან, იშვიათი გამონაკლისის გარდა და ეს იშვიათობაც არ მოსწონს უმრავლესობას. მშვიდი და გამრჯე ხალხია. აი, ბავშვებმა მოიყარეს თავი, მაგრამ მაინც არ არის ხმაური, არ იგინებიან, არ ყვირიან. ადრე, ფერეიდანში, ხალხი მიწათმოქმედებას მისდევდა, ახლა უკვე სამსახური იშოვეს და ძველი საქმიანობა დაივიწყეს.

— ხედავ, აქ რა სწრაფად მოძრაობს ხალხი, სულ ფული, ფული — გაიძახიან, ფულის შოვნაზე არიან გადასულები...

— ყველაფერი მაქვს, გავაღებ მაცივარს და სავსეა, თუმცა აქაურს გემოს ვერ ვატან, ეს ხომ ჩემი არ არის...

— ხედავ, ირანელები სულ ხორცს რომ ჭამენ, იმიტომ გადაიქცნენ კიდეც მტაცებლებად, სულ შოვნასა და დატაცებაზე არიან, — ეს ჩემი მაზლის გამონათქვამებია.

რწმენა ხომ პირადული და პირობითი რამ არის, ჩვენ ადრე ქრისტიანები ვიყავით, — მეუბნება იგი.

დღეში ხუთჯერ დაცხებს გონგი. დღეში ხუთჯერ გაემზადებიან ირანელი ქართველები სალოცავად, ვინ იძულებით, ვინ ალალი რწმენით, მაგრამ თითოეულმა იცის, რომ ქართველია და აქ იძულებით უკრეს თავი ოთხი საუკუნის წინ. წარმოიდგინეთ, ოთხი საუკუნე ისტორიისთვის თვალისდახამხამებაა და ახლა, როცა ასე იოლია ირანსა და საქართველოს შორის მიმოსვლა, ალბათ, შეხების მეტი წერტილი გამოიძებნება.

არ დადგეს გორშიო, — ასე უგზავნიან წყევლას იქ მცხოვრები ქართველები შაჰ აბასს. შაჰს, რომელსაც სპარსები მეფე მზედა და ირანის დამამშვენებლად მიიჩნევენ. ერთ დროს მეტად დაფასებულ გურჯებს დღეს უკვე უნდობლობით ეკიდება ირანის მთავრობა და პრესტიჟულ თანამდებობებზე აღარ ნიშნავს. აი, ახალგაზრდა კაცი, რომელმაც სამედიცინო წარჩინებით დაამთავრა, უმუშევარია, მხოლოდ და მხოლოდ, ქართველობის, კერძოდ, ქართული გვარის გამო.

არადა, კარგად იციან, რომ გურჯები ძლიერი ხალხი ვართ. თუ ვინმე შეუყორდათ (მოეწონათ), გურჯსა ჰგავსო, იტყვიან ანუ ქართველივით ლამაზიაო, — ამბობს ფერეიდნელი ფატუმა.

ქართველ ქალს სიამოვნებით ითხოვენ სპარსები, ოღონდ ვინ გაატანს? გურჯები ქალს სხვას არ მისცემენ. მართალია, გამზითვება ზოგს უჭირს იმიტომ, რომ სარძლომ ოჯახი უნდა გამოაწყოს. ავეჯი, ჭურჭელი, სარეცხი მანქანა, უკლებლივ ყველაფერი მიიტანოს, თუმცა ნეფე მეტ „ზარალშია“ საკმაოდ დიდი თანხის გადახდა უწევს მომავალი მეუღლის მშობლებისთვის — თანხა რამდენიმე ათასი დოლარია.

„კარგი დროა ახლა ქალებისთვის, მოლებისა და სახედრებისთვის“, — ხუმრობს ერთ-ერთი ფერეიდნელი. რაც შეეხება, სახედრებს უწინდელი შრომა აღარ აწევთ, მოლაც ხომ ფუფუნებაში ცხოვრობს, ხოლო ქალები არანაკლებ განებივრებულები არიან, ვიდრე პრეტენზიული „პარიჟანკები“, რადგან ქორწინების შედეგად იდება ხელშეკრულება, თვეში რამდენ დოლარს გადაუხდის მეუღლე, შეუღლებამდე კი რამდენ საჩუქარს მიუტანს... პატარძალს ანუ იქაურად რომ ვთქვათ, ახანძალს, ასევე შეუძლია ჩამოწეროს სია, რისი მიღება სურს, რათა მისთხოვდეს რჩეულს. თუ სარძლოს, ხოლო შემდგომში მეუღლის სურვილები არ დაკმაყოფილდა, შეუძლია იჩივლოს და ოფიციალურად დაშორდეს, „ურჩ“ მეუღლეს კი ციხე ემუქრება. ქალები მოწყალებას იჩენენ და ქმრებს არ აპატიმრებინებენ, რადგან... დაპატიმრებულისგან ხომ ხეირი არ არის, ისევ სჯობს, გარეთ იყოს და მეუღლისთვის „იზრუნოს“.

რაც შეეხება ამაგსა და ზრუნვას, ირანში მაცხოვრებლების სამუშაო საათები დილის 6-დან შუადღის 2 საათამდეა, ასე რომ, თუ ფუფუნება გინდა, გარჯასაც უნდა მიეჩვიო. ოღონდ, რაც მთავარია, მივბაძოთ ფერეიდნელებს და გავუფრთხილდეთ ქართველობას.

ერთ-ერთ დუქანში (მაღაზიაში) ჭიქებისა და მაისურების მოხატვაზე მუშაობენ, თვალზე ცრემლი მომადგა, როცა ვნახე — ყველაზე მეტი მოთხოვნა საქართველოს დროშის გამოსახვაზე, ქართულ წარწერებსა და სიმბოლოებზეა მაშინ, როცა საქართველოში მცხოვრები ქართველები ანალოგიურ მაღაზიაში „ბრიტნი სპირსს“, იტალიის დროშას ან სხვა რამე უცხოურს მოინადინებდნენ.

იქ იძულებით გადასახლებული და ახლა უკვე ბედსშეგუებული ქართველისთვის ბევრი რამაა თავსმოხვეული და ძნელადსაგუებელი. ჰოდა, პირდაპირი მნიშვნელობით „თავშეხვეული“ ანუ რჯულის ე.წ. ლიდერი მოლაც არ მოსწონთ, თუმცა... ირანია და არსად ისე არ დევნიან ისლამის მაგინებლებს, როგორც იქ. „თავშეხვეულის“ გარდა, ქართველებს სხვა სიტყვებიც აქვთ ერთმანეთში სასაუბროდ, უცხო პირისთვის გაუგებარი, მაგალითად, ფულისთვის, სხვატომელმა რომ ვერ გაუგოს „სათლელი“ (სათვლელი) დაურქმევიათ.

თავი ისე უჭირავთ და მოგახსენეთ კიდეც, საამისოდ მიზეზი რომ ჰქონიათ, ვითომდა, ჩვენ ვართ პირველი ხარისხის ხალხი, შემდეგ სხვანი და სხვანიო.

ქართული ანბანით ამოუგვირისტებიათ წინადადებები მანქანებზე. ჰო, გვირისტი, თორემ უბრალოდ ნაწერი არ უნდა იყოს, როცა სამშობლოს მონატრებული ქართველი შორიდან ეფერება მამულს. ფერეიდანში თითქმის ყველა მეორე მანქანის მინაზე ნახავთ ქართულ წარწერებს: „დიდება სამშობლოს“, „მიყვარხარ მარად სამშობლო“, „ღმერთს ებარებოდეთ“, „ღმერთს შანახული მარიამ“... ასეთია სამშობლოსმოწყვეტილი ფერეიდნელების ყოფა, მათი ქართველობა... სისხლის ყივილი!

ვერსიანიუსი

საქართველოსა და თურქეთში რელიგიურ საკითხებზე ერთობლივი ჯგუფი იმუშავებს

საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი თურქეთის რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მეჰმედ გორმეზს შეხვდა.

მხარეებმა შეხვედრაზე ერთობლივი განცხადება გააკეთეს. მანამდე კი, საპატრიარქოში შეკრებილებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა და თურქეთის რელიგიურ საკითხთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მეჰმედ გორმეზიმ მიმართეს. პატრიარქმა აღნიშნა, რომ მეჰმედ გორმეზის ვიზიტს ძალიან კარგი გამოხმაურება ჰქონდა და ყველა იმედით უყურებს მათ ურთიერთობას.

თავის მხრივ, მეჰმედ გორმეზიმ მადლობა გადაუხადა კათალიკოს-პატრიარქს, ასევე, მეუფეებს სამდღიანი მასპინძლობისთვის. მან გაიხსენა მაისში პატრიარქის ვიზიტი თურქეთში და მას ისტორიული უწოდა. ამასთან, აღნიშნა, რომ დღეს კაცობრიობას ყველაზე მეტად სჭირდება მშვიდობა და სასულიერო პირებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ.

„მეც მჯერა, რომ ჩვენ გავამართლებთ მათ იმედებს, ვინც იმედის თვალით უყურებს ჩვენს ვიზიტებს“, — აღნიშნა თურქეთის რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

თურქეთის რელიგიის საქმეთა სამმართველოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ორ მეზობელ ქვეყანას, თურქეთსა და საქართველოს ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულება აკავშირებთ. განცხადების თანახმად, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო მაღალ დონეს აღწევს, სულ უფრო ვითარდება როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში. სხვადასხვა რელიგიას შორის ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის განმტკიცების მნიშვნელობიდან გამომდინარე ურთიერთობები ღრმავდება რელიგიურ საკითხებთან მიმართებაშიც.

განცხადებაში ჩაწერილია, რომ 12 სექტემბრის შეხვედრაზე მხარეებმა დაასახელეს თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიათაშორისი ერთობლივი ჯგუფის შემადგენლობა, რომლის შექმნის იდეა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თურქეთში ვიზიტის დროს დაიბადა.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ შეხვედრაზე მხარეებმა დაგმეს ისლამის სახელით განხორციელებული ძალისმიერი ფაქტები, რომელსაც ბოლო პერიოდში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ქვეყანაში. ამასთან, გამოითქვა ერთობლივი წუხილი მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპაში მზარდი ისლამოფობიის გამო.

„ინტერპრესნიუსი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲗᲐᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	9	1		2	8	6		5
	3		5					
8					9			
					2	7	5	
2	7						4	3
	4	9	7					
			1					4
					5		2	
5		3	2	8		9	6	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			3			9		
				5	4			3
3		1					7	4
	9				8	3		
	5	7				4	2	
		2	5				6	
2	1					6		8
9			1	2				
		5			9			

ᲠᲗᲣᲚᲘ

	6	1		4				7
2		8			6			4
				9				
		5	9		1	7		2
				7				
9		7	5		4	1		
				5				
5			8			2		6
1				6		8	7	

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘ

	3				5			
4		8		7				
1						8	3	
2		3					7	
9	1	7		3		6	8	2
	8					4		3
	9	4						1
				1		3		7
			6				4	

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲔᲠᲕᲘᲐ

მეცნიერთა ჯგუფმა ყნოსვითი ნერვი „0“ აღმოაჩინა, რომელიც, მათი მტკიცებით, ადამიანებს შორის სიყვარულის წარმოქმნაზეა პასუხისმგებელი. მსგავსი ნერვის არსებობა სწავლულებმა მანამდე ვეშაპებში აღმოაჩინეს და მიიჩნევდნენ, რომ იგი ადამიანსაც უნდა ჰქონოდა, თუმცა დადასტურება ნერვის მცირე ზომის გამო დიდხანს ვერ მოხერხდა. „სიყვარულის“ ნერვს დაბოლოება ცხვირის ზონაში აქვს და სუნის შესახებ ტვინის იმ ნაწილს აწვდის ინფორმაციას, რომელიც გრძნობებზეა პასუხისმგებელი. ის ამუშავებს სექსუალური ხასიათის ინფორმაციას და სიგნალებს იღებს პოტენციური პარტნიორისგან. ცნობილია ისიც, რომ ადამიანებს განსხვავებული სუნის მქონე პარტნიორები იზიდავს. ამ შემთხვევაში გამონაკლისი მხოლოდ ფეხმძიმე ქალებია, რომელთაც ისეთივე „არომატების“ მქონე ადამიანები იზიდავს, როგორიც თავად აქვთ. თუმცა, სპეციალისტების განცხადებით, ამ შემთხვევაში, ორსულები არა საყვარლებს, არამედ მონათესავე სულს ეძებენ. სწავლულები იმასაც ამტკიცებენ, რომ გაუცნობიერებელ პროცესს, რომელიც ამ ნერვში მიმდინარეობს, შეუძლია სიყვარულის გამოწვევა და პირიქით, გრძნობების გაციებაც. ისინი აღნიშნავენ, რომ წყვილებს, რომელთაც ერთმანეთის მსგავსი სუნი აქვთ, ყველაზე ხშირად პრობლემები ბავშვების გაჩენისას უჩნდებათ. ხოლო თუ განსხვავებული სუნის მატარებლები არიან, ხანგრძლივი ოჯახური ბედნიერების დიდი შანსი აქვთ. სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ „სიყვარულის ნერვი“ მხოლოდ ადამიანის ბუნებრივ სუნს აღიქვამს და პარფიუმერია მასზე არანაირ გავლენას არ ახდენს.

საქანელა ექსტრემაღებისთვის

ადრენალინისა და ექსტრემალური გართობის მოყვარულები, მძაფრი შეგრძნებების მისაღებად ეკვადორში, ქალაქ ბანოსში ჩადიან, რათა იქ მსოფლიოში ყველაზე საშიშ საქანელაზე იქანაონ. ადგილობრივები ამ გასართობს „მსოფლიოს დასასრულთან ქანაობას“ ეძახიან. ერთ დიდ ხეზე აშენებულია პატარა სახლი. ხის ტოტზე, რომელიც მთის კიდეს გადაჰყურებს, ჩვეულებრივი საქანელა კიდია, რომელიც დიდ მანძილზე მიექანება და მისი მეშვეობით ღრმა ხეობისა და მთების თავზე მოექცევით. ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს თქვენს გარშემო სრული სიცარიელეა. თუ გეშინიათ და ექსტრემალი არ ხართ, ამ ადგილას მისვლას არ გირჩევთ, — აცხადებენ ადგილობრივები. აღსანიშნავია, რომ საქანელაზე დაჯდომის მსურველების უსაფრთხოებას ვერაფერი დაიცავს, რადგან მას მსგავსი აღჭურვილობა არ გააჩნია. ამ საშიშ გასართობთან განსაკუთრებით გრძელი რიგი მაშინ დგება, როცა წვიმს ან ხეობაში ნისლია ჩამოწოლილი. ამ დროს, ექსტრემალთა განცხადებით, სიმაღლიდან მართლაც იშვიათი სანახაობა იშლება.

შვილს სიზარმაცის გამო უჩივლეს

29 წლის ჩინელმა მამაკაცმა გადაწყვიტა, მუშაობით თავი არ მოეკლა და მშობლების კმაყოფაზე ეცხოვრა. დედ-მამა იძულებით ითმენდა ამას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ახალგაზრდამ სახლში ასევე უმუშევარი შეყვარებული რომ მიიყვანა საცხოვრებლად, მშობლების მოთმინების ფიალა აივსო. მათმა შვილმა ჯერ უნივერსიტეტში სწავლას დაანება თავი, სახლშიც არაფერს აკეთებდა, მთელი დღე ან ჭამდა, ან ინტერნეტში დაძვრებოდა, ან ეძინა... ბოლოს მარტო ყოფნა რომ მობეზრდა, ერთი თვის წინ გაცნობილი გოგო მიიყვანა სახლში, რომელიც ასევე არაფერს აკეთებდა და ისიც ბიჭის მშობლებს დააწვა კისერზე. გაბრაზებულმა დედ-მამამ გადაწყვიტა, სასამართლოს გზით მოევლო უქნარა შვილისთვის. ჩინურმა თემიდამ მათ სასარგებლოდ გამოიტანა განაჩენი, მაგრამ ახალგაზრდა წყვილი ამან დიდად არ ააღელვა — ორი თვეა, კვლავ უდარდელად ცხოვრობენ ბიჭის მშობლების ბინაში და უსაქმურობას აგრძელებენ. შეწუხებული დედ-მამა კი კვლავ სამართლის აღსრულების მოლოდინშია.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	8	7	9	6	1	5	4	3
6	5	4	8	7	3	2	1	9
3	1	9	2	5	4	8	7	6
1	2	8	7	4	9	6	3	5
9	7	6	5	3	8	1	2	4
5	4	3	1	2	6	9	8	7
4	9	5	3	1	2	7	6	8
8	6	2	4	9	7	3	5	1
7	3	1	6	8	5	4	9	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	4	3	8	1	7	2	9	6
1	2	9	6	5	4	3	8	7
8	7	6	3	2	9	5	4	1
9	3	7	5	6	2	4	1	8
4	8	2	1	9	3	7	6	5
6	1	5	4	7	8	9	3	2
7	9	8	2	4	1	6	5	3
3	6	4	7	8	5	1	2	9
2	5	1	9	3	6	8	7	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	2	1	5	9	8	7	6	4
9	8	7	6	3	4	5	2	1
6	5	4	7	2	1	3	9	8
4	7	3	2	1	6	9	8	5
5	1	8	9	7	3	6	4	2
2	6	9	4	8	5	1	7	3
1	4	6	8	5	7	2	3	9
8	3	2	1	6	9	4	5	7
7	9	5	3	4	2	8	1	6

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘ

8	1	3	6	4	2	9	7	5
9	7	6	1	8	5	4	3	2
2	5	4	3	9	7	1	8	6
4	3	9	7	2	1	5	6	8
1	2	8	5	6	9	3	4	7
7	6	5	4	3	8	2	1	9
6	4	2	9	7	3	8	5	1
3	9	1	8	5	6	7	2	4
5	8	7	2	1	4	6	9	3

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	6	7	1	3	9	8	5	4
4	5	3	2	8	7	6	1	9
1	9	8	4	6	5	3	2	7
9	4	6	5	1	8	7	3	2
8	7	2	9	4	3	1	6	5
3	1	5	7	2	6	9	4	8
7	8	1	6	5	4	2	9	3
6	3	4	8	9	2	5	7	1
5	2	9	3	7	1	4	8	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	3	8	6	5	9	1	4	2
2	5	4	3	1	8	7	6	9
6	1	9	2	4	7	8	5	3
5	9	3	4	8	1	6	2	7
4	2	1	7	6	5	9	3	8
8	7	6	9	3	2	5	1	4
3	8	2	5	9	6	4	7	1
1	6	7	8	2	4	3	9	5
9	4	5	1	7	3	2	8	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	6	9	7	4	5	2	1	8
5	2	8	3	6	1	4	7	9
4	1	7	9	8	2	6	5	3
9	8	6	2	5	3	1	4	7
7	3	5	6	1	4	9	8	2
2	4	1	8	7	9	3	6	5
1	9	4	5	3	8	7	2	6
8	7	3	1	2	6	5	9	4
6	5	2	4	9	7	8	3	1

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘ

3	5	7	6	2	1	4	9	8
4	9	2	8	3	7	6	5	1
1	6	8	4	5	9	2	3	7
9	2	4	7	1	5	8	6	3
7	3	6	2	4	8	5	1	9
8	1	5	3	9	6	7	4	2
6	4	3	1	8	2	9	7	5
5	8	1	9	7	4	3	2	6
2	7	9	5	6	3	1	8	4

მე-10 გვერდი: 1. ბუზალაძე; 2. „ურმული“; 3. ატლასი; 4. ალაო; 5. ცერბერი; 6. ევრიკა; 7. ბიზონი; 8. რუნი; 9. ამალგამა; 10. აზარაშვილი; 11. ილეთი; 12. ვაკე; 13. კრაზანა; 14. ინსტიტუტი; 15. იდილია; 16. ემისია; 17. ავინიონი; 18. ანალიზი; 19. მედინა; 20. კლასი; 21. აკინი; 22. აბოლიცია; 23. ევა; 24. ფარავანი; 25. იაკი; 26. იფრინდა; 27. სელიტრა; 28. ანა; 29. ამია; 30. ალეგრო; 31. ავტობუსი; 32. ამნისტია; 33. „ასი“; 34. ბორითი; 35. მანილა; 36. კანოტიე; 37. იფი; 38. ეოსი; 39. ლირა; 40. ოტისი; 41. ტრაასა; 42. ლეში; 43. ილი; 44. გუი; 45. ბუი; 46. ენი; 47. სოსია; 48. ალოე; 49. რებუსი; 50. ტლუ; 51. ცეილონი; 52. სირჩა; 53. ხაო; 54. ლიპსო; 55. ფიტნესი; 56. ინდი; 57. იბიცა; 58. ხატი; 59. პლუტო; 60. თრია; 61. აია.

მე-12 გვერდი: 1. ლავა; 2. მანგო; 3. აბატი; 4. ბაბაჭუა; 5. ტალინი; 6. მარშალი; 7. ნონა; 8. ოტია; 9. აბულია; 10. „ირმისა: 11. კარუსელი; 12. ბრინჯი; 13. ჩაროიტი; 14. ერა; 15. ჭინკა; 16. ჩაი; 17. აბრისი; 18. ურია; 19. ალური; 20. ლაურა; 21. რუბეროიდი; 22. ალი; 23. მაო; 24. ჯონკა; 25. ლაისტი; 26. დუ; 27. ბადრი; 28. აფიშა; 29. დაკა; 30. ჯეინ ფონდა; 31. ნეონი; 32. აფსუს; 33. ფრე; 34. ტრიფონი; 35. იონია; 36. იაბო; 37. აბედი; 38. შალე; 39. ფასანაური; 40. ნანა; 41. ონასისი; 42. ნისია; 43. ენა; 44. მეტრიკა; 45. პობედიტი; 46. აეკი; 47. უფა; 48. ლისტი; 49. ნოსტე; 50. ჭონა; 51. მჭედლიძე; 52. ალან; 53. გორდა; 54. პიპია. 55. ანტონი; 56. ჰააგა; 57. დოდე; 58. კიბო; 59. იორი; 60. ბუა; 61. ჰონიარა; 62. მადონა; 63. ურმია; 64. კვიცი; 65. „ოდისეა“; 66. ალეპო; 67. გაიდაი; 68. აირანი; 69. ელო; 70. გრანტი; 71. მაია; 72. ირიდა; 73. დასი; 74. კოდა; 75. მატრიკული; 76. ჭკა; 77. ეტლი; 78. კეა; 79. ნაირა; 80. არია; 81. კანონი; 82. სი; 83. ეტი; 84. კირი; 85. ოფი; 86. ეტაპი; 87. იანკი; 88. აგა.



ქოიცი ჩადიაციისგან დაეცავთ

რადიაციულად უსაფრთხო ქვედა საცვლების ხაზი ავსტრიელმა სტუდენტებმა აამოქმედეს და საკუთარ გამოგონებას „უსაფრთხოების შორტი“ უწოდეს. იდეის მიხედვით, ის ადამიანებს უნაყოფობისა და სხვა სამედიცინო პრობლემებისგან იცავს, რომელსაც მობილური ტელეფონებისა და ნოუთბუქებისგან მომდინარე რადიაცია იწვევს. თუ მობილურს შარვლის ჯიბით ატარებთ, ესე იგი, უკვე რისკავთ საკუთარი ჯანმრთელობით. ყოველ შემთხვევაში, ტესტებმა დაადასტურა, რომ ტელეფონისგან მომდინარე რადიაცია ჯანმრთელობისთვის საშიშია. ახალგაზრდა გამომგონებლების მიერ შექმნილი შორტი კი ასეთი საფრთხისგან დაგიცავთ. საცვლების შესაქმნელად გამოყენებული მასალა ვერცხლის ძაფს შეიცავს, რომელიც რადიაციის 99%-ს შთანთქავს. ახლა ავსტრიელი სტუდენტები იმედოვნებენ, რომ „უსაფრთხოების შორტი“ პოპულარული გახდება და ამით ქონებასაც დააგროვებენ. მათი შეძენა ავსტრიაში უკვე შესაძლებელია და 42 დოლარი ღირს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

მაღვიძარა იძულებით აგაყენებთ

ცნობილია, რომ ადრე გაღვიძება ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს, იმის მიუხედავად, მაღვიძარა აქვს მომართული თუ არა. ახალი მაღვიძარა კი დაძინების საშუალებას არ მოგცემთ — მისი ავტორი ერთი ბრიტანელი სტუდენტია. საათი მითითებულ დროს რეკავს და მერე ადგილიდან სწრაფად „გარბის“. მოძრაობისას მაღვიძარა კვლავ ხმამაღლა „ყვირის“ და მის გამოსართავად ერთადერთი გზა საწოლიდან ადგომა, დადევნება და ღილაკზე თითის დაჭერაა. მოწყობილობას სპეციალური, დიდი ზომის ბორბლები აქვს, რომელიც ნებისმიერ ზედაპირზე დიდი სიჩქარით გადაადგილდება. ახალი მაღვიძარა 40 გირვანქა სტერლინგი ღირს.

ქალი, რომელიც ყველაზე სწრაფად ლაპარაკობს

მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მოლაპარაკე ქალი წამში 11 სიტყვას ამბობს. ფრენ კაპოს „პირ-ძრავას“ ეძახიან — იგი წუთში 600-ზე მეტ სიტყვას წარმოთქვამს. რასაკვირველია, ასეთი სისწრაფით ლაპარაკისას ხშირად სიტყვების გარჩევა შეუძლებელია, თუმცა ფრენი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა და ახლა მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მოლაპარაკეს ტიტულსაც ატარებს. ქალი ნიუ იორკში ცხოვრობს და, როგორც იხსენებს, ყოველთვის ასე სწრაფად ლაპარაკობდა. ადვილი წარმოსადგენია, რა ხასიათზე არიან კაპას ოჯახის წევრები და მეგობრები, რადგან არც ისე ადვილია ასეთი „ტყვიამფრქვევის“ მოსმენა.

სუდოკუ

ადვილი

9		2			8			
					9		5	
8				3			4	
		4		1		3	6	
7		3				9		8
	8	1		9		7		
	3			8				2
	2		9					
			5			6		1

სტანდარტი

	1			7				
9		5			8			
6	4		1			2	8	
8		9						
	2	6				8	4	
						9		2
	9	2			5		1	6
			4			7		3
				3			9	

რთული

	8		3					
2	4	9		1				5
					4		8	
9							3	
1								2
	5							4
	3		5					
5				7		1	9	6
					8		2	

ექსპერტი

					3			
			9				2	8
	8	2	6			9		5
	3			7				4
1	5		4		2		6	3
9				6			5	
6		5			1	2	3	
8	2				6			
			5					

ქლორი დაბერებას აფერხებს

სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ქლორის საოცარი თვისებები აღმოაჩინეს. როგორც ცნობილია, ქლორი, რომელიც წყლის დეზინფექციისთვის გამოიყენება და ერთგვარი მათეთრებელი საშუალებაც არის, კანის დაბერების პროცესს აჩერებს. ნატრიუმის ქლორის აბაზანებს წლების განმავლობაში იყენებენ ეგზემის სამკურნალოდ, თუმცა აქამდე მისი თერაპიული ზემოქმედების მექანიზმი გაურკვეველი იყო. თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ ქლორი ბაქტერიებსა და ვირუსებს ანადგურებს, თუმცა სწავლულები ამ ნივთიერების მცირე კონცენტრაციის გამოყენების პროცესს აკვირდებოდნენ. მათ იცოდნენ, რომ კანის ზოგიერთი დაავადება, როგორიცაა ეგზემა და რადიაციული დერმატიტი, დაკავშირებულია ანთებით პროცესებთან, რამდენადაც ორმაგდება იმუნური ქსოვილები. მკვლევარები ირწმუნებიან, რომ ქლორს შეუძლია ეს პროცესი შეაჩეროს. მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს NF-kB ცილებს, რადგან სწორედ მათ უკავშირდება ანთებითი და კანის დაბერების პროცესები. მეცნიერებმა კანის ქსოვილების კერატინოციტები შეიმუშავეს, 0,005%-იან ქლორში გაზავებული და აღმოაჩინეს, რომ ამის შემდეგ ორი გენი მუშაობას წყვეტს. ექსპერიმენტი მღრღნელებზე ჩატარდა, რომლებიც სხივური დერმატიტით იყვნენ დაავადებულნი. ერთი წლის განმავლობაში, ყოველდღე ქლორიანი აბაზანების ნახევარსაათიანი პროცედურების შემდეგ გაირკვა, რომ დაავადებამ უკან დაიხია. ექსპერიმენტები ჯანმრთელ, მაგრამ ასაკოვან თაგვებზე გაგრძელდა. გაირკვა, რომ ასეთი პროცედურების შემდეგ მათი კანი ელასტიური გახდა და გაახალგაზრდავდა. ამჟამად მკვლევარები ექსპერიმენტებს ადამიანების მონაწილეობით ატარებენ და იმედოვნებენ, რომ მალე მედიცინაში ქლორის გამოყენება სერიოზულ შედეგებს მოიტანს.

ხმაური და ჩვენი ჯანმრთელობა

აბსოლუტურ სიჩუმეში მხოლოდ სმენის უნარმოკლებული ადამიანები ცხოვრობენ, ჯანმრთელებზე კი სრული სიჩუმე დამთრგუნველად მოქმედებს. ჩვენ მივეჩვიეთ სხვადასხვა ხმაურს, ზოგი გვამშვიდებს — ფოთლების შრიალი, წყლის ხმა და სხვა. ქალაქში კი სულ სხვა ბგერები ესმის ჩვენს ყურს — მანქანების ხმაური და საყვირები, მშენებლობის გრუხუნი, ბავშვების ჟრიამული და სხვ. შეიძლება ითქვას, ხმაური აუცილებელია, მისი დახმარებით ადამიანი სივრცეში ორიენტირებას ახერხებს. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გარკვეული ინტენსივობის ხმაური აზროვნებასა და შრომისუნარიანობაზე დადებითად მოქმედებს. გარდა ამისა, სმენის ორგანოები ხმაურის ხასიათის გარჩევასა და საპასუხო რეაქციის გამოვლენაში გვეხმარებიან. მაგალითად, ყოველთვის ვერ ვხედავთ მოახლოებულ მანქანას, მაგრამ გვესმის მისი ხმა და ინსტინქტურად ვრეაგირებთ. როგორც ცნობილია, ხმაურის დონე დეციბელში იზომება. ხმაურის ბუნებრივი ფონი დაახლოებით 20-30 დეციბელია. ასეთი ხმაური უსაფრთხოა ჩვენი ნერვული სისტემისა და სმენის ორგანოებისთვის. ხმამაღალი ბგერები, დაახლოებით 80 დეციბელამდე, უვნებელია ადამიანისთვის, მაგრამ ხმაურის ასეთი ფონიც კი იშვიათია მეგაპოლისში.

როცა ქუჩაში მიდიხართ და უკნიდან გესმით ავტომანქანის საყვირის ხმა — ეს უკვე 100 დეციბელია. მოულოდნელობისგან გული აგიფანცქალდებათ, ხელისგულები დაგენამებათ — ეს ორგანიზმის საპასუხო რეაქციაა მაღალ ხმაზე, არადა დღეში ასეთი ფაქტი შეიძლება რამდენჯერმე მოხდეს. 130 დეციბელი კი ადამიანში უკვე მტკივნეულ შეგრძნებებს იწვევს. ისინი, ვინც აეროპორტებში, ასაფრენ ბილიკებს ემსახურებიან, დღეში რამდენჯერმე შეიგრძნობენ 120 დეციბელს. ოფისის მუშაკებზე მუდმივად ზემოქმედებს 50-70 დეციბელი, რაც თითქოს დასაშვებ ზღვარს ქვემოთაა, მაგრამ სამაგიეროდ უწყვეტია. ტრანსპორტში ხმაური 80 დეციბელს აღწევს. როცა ადამიანი არახელსაყრელ ხმოვან გარემოშია, ორგანიზმი თავდაცვას იწყებს, რადგან ხმაური ნეგატიურად მოქმედებს ჩვენს სმენით აპარატსა და ნერვულ სისტემაზე — ვითარდება სხვადასხვაგვარი ნევროზი და უძილობა. მეტიც, ხმაურის გამო იმატებს წნევა და ვითარდება სხვადასხვა ორგანოს დაავადება, რაც საერთოდ არ უკავშირდება სასმენ აპარატს. მაგალითად, შეიძლება დაირღვეს ნივთიერებათა ცვლა ან კუჭის წყლული განვითარდეს. რაც მთავარია, ხმაური თრგუნავს ადამიანის ფსიქიკას და შედეგად უფრო აგრესიული ხდება.

ხმაური ადამიანებზე განსხვავებულად მოქმედებს და ეს განსხვავება ასაკით, ჯანმრთელობის მდგომარეობითა და სმენითი მგრძნობელობითაა განპირობებული. ულტრაბგერები (ისეთი ბგერითი რყევა, რომლის სიხშირეც ზედაზღვარს სცდება) ადამიანში შფოთსა და მღელვარებას იწვევს. ცნობილია, რომ ულტრაბგერა, სიმძლავრით 135 დეციბელზე მეტი ადამიანში კონტუზიას იწვევს, 160-ზე ყურის ბარაბნის აპკი სკდება, ხოლო 200-ზე ლეტალური შედეგია მოსალოდნელი. ულტრაბგერების ხანგრძლივი და სისტემატური ზემოქმედება პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს ნერვულ, ენდოკრინულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემაში, თუმცა ულტრაბგერას სამკურნალო საშუალებადაც იყენებენ, მხოლოდ ხანმოკლე პერიოდით — ის ტკივილგამაყუჩებელი და სპაზმოლიტური ეფექტით ხასიათდება, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ქსოვილების რეგენერაციას, ააქტიურებს იმუნურ პროცესებს.

ანგრენის საწინააღმდეგო წამალი უეჭველს

სპეციალისტებმა ისრაელის კომპანია Atox Bio-დან, რომელიც მძიმე ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატებს აწარმოებს, 23 მილიონი დოლარი მიიღო ახალი წამლის AB103 გამოსაცდელად. ეს პრეპარატი რბილი ქსოვილების ნეკროტულ ინფექციებს უნდა შეებრძოლოს. მასშტაბური კლინიკური გამოცდები მომავალი წლიდან დაიწყება. წამალი იმუნომოდულატორია და პეპტიდებისგან შედგება, რომელიც განსაკუთრებით მოქმედებს. პრეპარატი ცვლის ადამიანის იმუნიტეტს ისე, რომ არ აფერხებს მის აქტიურობას. თუ წამალი ცდების შედეგად დამტკიცდება, ათასობით ადამიანს მისცემს შანსს, სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეინარჩუნოს. რბილი ქსოვილების ნეკროტულ ინფექციებს სხვადასხვა მიკროორგანიზმები იწვევს. მისი დიაგნოსტირება რთულია: გარეგნულად მხოლოდ პატარა წყლულის სახით ჩნდება. ინფექციის ძირითადი ფორმები ბაქტერიული, სტრეპტოკოკური განგრენა ან ნეკროტული ფასციიტია.

ხვრინგა მხედველობას აგიანებს

ტაივანელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ხვრინვა ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის მხედველობაზე. სპეციალისტების დასკვნები 1000 პაციენტსა და 6 ათას ჯანმრთელ მოხალისეზე ჩატარებული კვლევების შედეგებს ეყრდნობა. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ვინც ძილში ხვრინავს, 1,67-ჯერ მეტად ხვდება თვალის ისეთი დაავადება, როგორიცაა გლაუკომა (მას თვალის მაღალი წნევა იწვევს). ხვრინვას ასევე შეუძლია ინსულტისა და გულის დაავადებების პროვოცირება. დეტროიტის უნივერსიტეტის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ვიბრაცია, რაც ხვრინვის დროს წარმოიქმნება, ტრავმას აყენებს სისხლძარღვებს, მათ ანთებას და გათხელებას იწვევს. ეს კი, როგორც ცნობილია, ათეროსკლეროზის პირველი სტადია. სწავლულები აცხადებენ, რომ ხვრინვა ისეთივე საშიშია ადამიანისთვის, როგორც მაღალი არტერიული წნევა.

1. ცირკის მსახიობი, რომელიც მარჯვედ ათამაშებს ერთდროულად რამდენიმე საგანს
2. ნამწვარზე მოდებული ფქვილივით ნაცარი
3. შინაური სუსტი არაყი ხევსურეთში
4. ქიმიური ელემენტი, მეტალი
5.საქონლის გატანა საზღვარგარეთ
6.ზოოლოგიის დარგი, სწავლობს კატებს
7.ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია
8.მკათათვის თანამედროვე სახელწოდება
9. საზოგადოების რჩეული ნაწილი
10. სამკურნალო ბალახოვანი მცენარე
11. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ში
12. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
13.დასტურის გამომხატველი ზრდილობიანი ფორმა
14.სამოვრებით განთქმული ქალაქი რუსეთში
15. ლეგენდარული პოლანდიელი ფეხბურთელი
16.კომიკოსი ... დე ფიუნესი
17.„აღმოსავლეთი“- მეზღვაურთა სლენგზე
18. წყალქვეშა კლდე
19. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
20.პალმის სახეობისგან დამზადებული ბურღული
21. საგანთა ჩამონათვალი
22. აზიის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე
23. კახა კაფსაძის კინოპერსონაჟი „ნატეგრის ხეში“
24.სასულე მუსიკალური საკრავის „სატუჩე“
25. იგივეა, რაც შუშა
26. სურათი: ავტორი
27. უხეში მიტკალი
28.იაპონელთა ვიბის ყუთი
29. თბილისის ყოფილი მერი
30.გარკვეული წესით დამუშავებული ტყავი
31.მორებისაგან შეკრული სამდინარო ტრანსპორტი
32. ხრიკი, ფანდი
33. მიწაზე დასაფენი ძვირფასი ფარჩა
34. NBA-ს ყოფილი ვარსკვლავი
35. წყლის ბალახოვანი მცენარე
36. კარგი ამინდი
37. კრივის მოედანი
38.შეკვიბრი ავტომობილებით რბოლაში
39. ნიკარაგუას დედაქალაქი
40.წმინდა მოგება ძიუდოში
41. მოსკოვის ბოშათა თეატრი
42.სათამაშო კოშის მთავარი მხარე
43.ბიბლიური ნოეს შუათანა ვაჟი
44.იაპონია -იაპონური ენაზე
45.ადამიანის აგებულების შემსწავლელი დარგი
46. ძიუდოს შემქმნელი
47. ჯადოქარი, მისანი
48. მითოლოგიური კვანძის „ავტორი“
49.ავტორი რომანისა „ცხოველთა ფერმა“
50. ამსტერდამის საფეხბურთო კლუბი
51. (ძვ.) სურნელოვანი ნელსაცხებელი
52.პლანეტა იუპიტერის ძველქართული სახელწოდება
53.სისხლძარღვის კედლის შიგნითა გარსი
54. ინდოეთის შტატი
55.ბგერის დაკარგვა სიტყვის შუაში
56. ინდოელი კინომსახიობი აიშვარია ...
57.ფრთოსანი მწერის განვითარების სტადია
58.მბრწყინავი რგოლი წმინდანის თავზე
59. ფილიპინების დედაქალაქი
60.„ზემოთ“, „აწიე“- პორტის მუშების სლენგზე
61.უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი
62. თივის დიდი გროვა
63. ოპტიკური მოვლენის სახეობა
64.ცხოველის სხეულის ცხიმი
65.ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული მასა
66. მწერალი ... ტოლსტოი
67. ფიქვისებრთა ოჯახის ხე
68.თეომურაზ ვეუღელის ფსევდონიმი სუმის სამყაროში
69. თავდავიწყების მდინარე ბერძ.მითოლ.
70. მდინარე ციმბირში
71. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
72. „ნირვანას“ ლიდერი ... კობეინი
73.ბოჭკოვანი მცენარე
74.იგივე სინდიოფალა
75.ოთახის დეკორატიული მცენარე
76. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
77. ადამის მეუღლე
78. ქართული ანბანის ბოლო, 33-ე ასო
79. მდინარე რუსეთში

ღალატი გენეტიკური დაავადებაა

ბრიტანელმა სწავლულებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც დაასკვნეს, რომ ღალატი გენეტიკურ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. გამოკვლევაში მონაწილეობა 2000-მა ინგლისელმა მიიღო და აღმოჩნდა, რომ 100 ქალბატონიდან, რომლებიც საკუთარ მეუღლეს ღალატობენ, 70%-ის შვილებიც არ გამოირჩევიან ერთგულებით. გამოკვლევამ ისიც აჩვენა, რომ განსაკუთრებით მძლავრი დედის „მოღალატე“ გენია და ის აქტიურად გადაეცემა შვილს, განსაკუთრებით — ვაჟს. როგორც სხვა გენეტიკურ დაავადებასთან, ღალატთან ბრძოლაც, ხშირად, უსარგებლოა, მკურნალობა შეუძლებელია, — ამტკიცებენ სწავლულები.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.